12 ფურცელი
603/2 14.569
ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 16
(11 473)

27 თებერვალი – 1 აპრილი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ზიდანმა აღიარა, რომ კალაძესთან ვერაფერი გააწყო...



3

## „ვერიგა“ – ქართულ ფეხბურთს!

ამ ფირმის თაოსნობით, საქართველოს XX საუკუნის ფეხბურთელისა და ფეხბურთის განვითარების ხელშემწყობთა ყველაზე ღირსეულ ადამიანთა გამოსავლენად, ამ ერთ თვეში, 28 მარტამდე, ჩვენს ქვეყანაში ჩატარდება ფეხბურთის სპეციალისტთა და ქომაგთა ტოტალური გამოკითხვა, პრესის, რადიო-ტელევიზიისა და ინტერნეტის მეშვეობით. ამასთან, გამოვლინდებიან ბოლო ათწლეულის (დამოუკიდებლო[ბ]ის მიღების შემდეგ) საუკეთესო ფეხბურთელები – ასეთი გადაწყვეტილება მიიღო გუშინ ორგანიზატორების, სფფ-ს ხელმძღვანელობის და სპორტულ გამოცემათა რედაქტორების მონაწილეობით სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ირაკლი მეძმარიაშვილთან გამართულმა საინიციატივო შეხვედრამ.

ნომინაციები და გამოკითხვის პირობები გავრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მათ შორის გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში. რეფერენდუმი ლაურეატთა საზეიმო დაჯილდოებით დაგვირგვინდება.

## მთამსვლელთა „მიწიერი პრობლემები“



2

## იორკმა, ისევე როგორც კრესპომ, სამი გოლი გაიტანა...

5





კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ვერის ბაღის ბავშვთა საკალათბურთო დარბაზში განახლდა ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი. გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილნი: უძლიერესები პლეი-ოფში მოხვედრისათვის იბრძვიან, ხოლო დანარჩენები – უმაღლეს ჯგუფში დასარჩენად.

***საუკეთესო ექვსეული, I წრე***

***24 თებერვალი.*** აზოტი – თსუ 88:76; ბასკო – შევარდენი 78:59, სტუ – მაკაბი 90:75.
***25 თებერვალი.*** ბასკო – თსუ 93:88, მაკაბი – შევარდენი 89:83, სტუ – აზოტი 100:85.
***26 თებერვალი.*** ბასკო – შევარდენი 78:67.

***უმაღლეს ჯგუფში დასარჩენად***

სოხუმი – ქუთაისი 65:61, დინამო – ქუთაისი 66:49

## „ბრინჯაო“ და „მაყურებლის სიმპათიის პრიზი“



უნგრეთის ქალაქ დებრეცენის რინგზე ჩატარდა დიდი საერთაშორისო ტურნირი, 13 ქვეყნის ასზე მეტი ტყავის ხელთათმნის ოსტატთა მონაწილეობით. იქ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა ორმა ქართველმა მოკრივემ – მჩატე წონის ფოთელმა სპორტსმენმა თეიმურაზ ხურცილავამ და პირველი საშუალო წონის ჭიათურელმა მოკრივემ ანატოლი ქავთარაძემ. მათვე წილად ხვდათ „მაყურებლის სიმპათიის“ სპეციალური პრიზები.



## ქართული ფეხბურთის ხვალინდელი დღე!

4

## ქართველებს და იაპონელებს შვეიცარიაში ტრადიციულ სახალხო ზეიმზე იწვევენ სუმოში საჩვენებელი გამოსვლების წარმოსადგენად. ამასთან, დღესასწაულზე ქართული ჭიდაობის დემონსტრირებასაც გთხოვენ.

ესტონეთი. ევროპის IX ჩემპიონატი. ლევან ალთუნაშვილი (მარცხნივ) და ლევან ებანოიძე



2

William Hill

„უილიამ ჰილის“ ფსონები

6

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### რუმინეთი თბილისისთვის ემზადება

რუმინელი ნახევარმცველი, ბუნდესლიგის დებიუტანტის კოტბუსის „ენერგის“ ფეხბურთელი ვასილ მარიუტა აღიარებულია ბოლო კვირის გერმანიის საუკეთესო მოთამაშედ. ამასთან დაკავშირებით, რუმინეთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლადისლაუ ბოლონიმ განაცხადა, რომ ყურადღებით ადევნებს თვალს მარიუტას მიღწევებს და თუ მან ასე გააგრძელა, უთუოდ შეიყვანს ქვეყნის პირველ გუნდში.

ამასობაში თავად რუმინეთის ნაკრები კვიპროსს

იხ. მე-7 გვ.

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 6 თვე დარჩა

ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს წელიწადი გვაშორებს

თამაშები გაიმართება 2002 წლის 8–25 თებერვალს

# პარიზი ოლიმპიადის მასპინძლობის მოსაპოვებლად ყველა ხერხს იყენებს

**საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების მოთამაშეები დღეს გერმანიის ნაკრებთან მატჩში თავისებურად დაუჭერენ მხარს პარიზის განაცხადს უმასპინძლოს 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებს. ფეხბურთელების მაისურზე ამოტვიფრული იქნება სიტყვა „დიახ — პარიზს, 2008 წლის“.**

**შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი თავის დროზე გამოთქვეს აგრეთვე პეკინმა, ოსაკამ, ტორონტომ და სტამბულმა. სოკი თავის გადაწყვეტილებას წლეულს ივლისში გამოაცხადებს.**

# საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მიმართვა

## *ალპინისტური სექციების, კლუბების, კავშირების, ასოციაციების და ქალაქებისა და რაიონების ალპინისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელებს*

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მორიგი ყრილობის მოსამზადებლად, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის დ. დანგაძის განკარგულებით, შექმნილია საორგანიზაციო ჯგუფი: შ. მირიანაშვილი — თავმჯდომარე, ა. ხერგიანი, ვ. მათითაიშვილი, შელისაშვილი, რ. ჩეჩელაშვილი და ვ. მეკრავიშვილი.

ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ყრილობაზე გასატანი დოკუმენტების მოსამზადებლად (ასვლების მომზადებისა და ჩატარების წესები; ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ფედერაციის წესდებაში; სათანრიგო ნორმატივების შემუშავება; მწვერვალების კატალოგის შედგენა ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე და სხვა ნორმატიული და მეთოდური დოკუმენტების შემუშავება).

ამასთან, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით, ყრილობის მოწვევას წინ უნდა უსწრებდეს მთამსვლელთა და ინსტრუქტორთა რეგისტრაცია რესპუბლიკის მასშტაბით, რათა, ერთის მხრივ, ნათელი წარმოდგენა გვქონდეს თუ ამჟამად რა რაოდენობის და რა კვალიფიკაციის კადრები გაგვაჩნია და, მეორეს მხრივ, დადგინდეს სექციებში და კლუბებში რეგისტრირებულ მოქმედ მთასმსვლელთა და ინსტრუქტორთა შემადგენლობა, რათა სრულად იქნას გათვალისწინებული მათი ინტერესები და მოთხოვნები.

სექციებში და კლუბებში რეგისტრირებულ მთამსვლელთა სიების შედგენისას აუცილებლად უნდა იქნას მითითებული სპორტსმენის კვალიფიკაცია (სპორტული თანრიგი), ასაკი და ბოლო 5 წლის მანძილზე შესრულებული ასვლების ნუსხა (მწვრთნელთათვის — ინსტრუქტორის მოვალეობის შესრულება ალპინისტურ ღონისძიებებში).

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. ამდენად ალპინიზმში და სამთო ტურიზმში მოქმედი შ პ ს — ები (ამ ტიპის კომერციული სტრუქტურები დღეს მრავლადაა საქართველოში) ვერ გაერთიანდებიან მთამსვლელთა ფედერაციაში.

ფედერაციაში გაწევრიანებისათვის აუცილებელია: ფედერაციის სახელზე ოფიციალური განაცხადის შეტანა, ორგანიზაციის წესდების ერთი პირი და ორგანიზაციაში რეგისტრირებულ მთამსვლელთა სია (თუ ორგანიზაცია შექმნილია 2000 წლამდე, წარმოდგენილი უნდა იქნას, აგრეთვე, ორგანიზაციის მიერ ჩატარებული მთამსვლური ღონისძიებების ჩამონათვალი).

საორგანიზაციო ჯგუფი იკრიბება კვირაში ორჯერ: ორშაბათს და პარასკევს, 14-17 სთ., მისამართი — ილ. ჭავჭავაძის გამზირი №3 (თსუ, II კორპუსი, 168 ოთახი).

გთხოვთ, დროულად მოგვაწოდოთ თქვენს ორგანიზაციაში რეგისტრირებულ მთამსვლელთა და ინსტრუქტორთა სია და თქვენი წინადადებები.

**პატივისცემით,**

**შ. მირიანაშვილი,**
**ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე, საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი.**

## 50 წლის წინათ...

***თბილისი.*** „ნორჩი დინამოელის“ საქალაქო პირველობაზე ცურვაში კარგად იასპარეზეს ი. ფილიპოვმა და უკონკურსოდ მოასპარეზეებმა ნ. გვახარიამ და ა. ბაქრაძემ. შეჯიბრებაში 104 მოცურავე მონაწილეობდა.

***ბაკურიანი.*** სათხილამურო სპორტში „დინამოს“ პირველობაზე ქალებიდან თავი ისახელეს კ. კოზანაშვილმა, გ. ბრიტვინამ და მ. ბოლოთაშვილმა, ვაჟებიდან — ვ. მურჯიკნელმა, მ. გავამ და ა. ჯაოშვილმა.

***ბათუმი.*** პედაგოგიური ინსტიტუტის ვაჟთა გუნდი უძლიერესი იყო ქალაქის ზამთრის პირველობაში კალათბურთში. გოგონებში კი ბავშვთა სპორტსკოლის გუნდმა იმარჯვა.

***ლაგოდეხი.*** დამთავრდა ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია.

***სიღნაღი.*** სიღნაღის, მაჩხაანისა და კარდანახის ფრენბურთელთა ამხანაგურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს სიღნაღელებმა.

***აბაშა.*** რაიონის თერთმეტი საშუალო სკოლის კალათბურთელთა შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა აბაშის ვაჟთა საშუალო სკოლის გუნდმა.

***ონი.*** სოფ. ზვერეთში მოეწყო საჭიდაო დარბაზი.

# სუმო დააბიჯებს ჩვენს პლანეტაზე

## სპორტის ეროვნული სახეობების პროპაგანდა იაპონელებისგან უნდა ვისწავლოთ

**საოცარია სპორტის ამა თუ იმ სახეობის ბედი. სადღაც, დედამიწის რომელიღაც კუთხეში აღმოცენდება, ფეხს აიდგამს და კიდით-კიდემდე გადასერავს დედამიწას. მკაფიო მაგალითად თუნდაც ფეხბურთი, რაგბი, კალათბურთი, ხელბურთი გამოდგება. მაგრამ არის სპორტის სახეობები, საუკუნეებს რომ ითვლის, დასაბამიდან ხალხის ყოფაში რომ გაიდგა ფესვები, მათი სულიერების ნაწილად ქცეულა, შემდეგ კი მოკრძალებით შეუღია მსოფლიო სპორტული სამყაროს კარი და მისი უდიდებულესობის ოლიმპიური თამაშების შემადგენელი ნაწილიც გამხდარა. აქ კი, სამაგალითოდ, იაპონელები გამოიყურებიან, რომლებმაც მსოფლიოს ძიუდო აჩუქეს. ახლა კი სუმოზე მიდგა ჯერი.**

**ყველამ კარგად იცის, როგორი წარმატებით გაითავისეს ძიუდო საქართველოში. წარმოუდგენლად მოკლე ვადაში მოვიშინაურეთ სუმო. რა არის ამის მიზეზი?**

— საქართველო ფალავანთა ქვეყანაა, ჩვენი ეროვნული ჭიდაობაც საუკუნეებს ითვლის და რა გასაკვირია, ადვილად თუ ვითვისებთ სხვათა ორთაბრძოლების ხელოვნებას — ამბობს სუმოში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი თამაზ ჩხარტიშვილი, რომელიც ცნობილ სუმისტ ლევან ალთუნაშვილთან ერთად მოვიწვიეთ რედაქციაში.

***თამაზ ჩხარტიშვილი:*** იაპონიაში სუმოს 2 ათასი წლის ისტორია აქვს. იგი არა მხოლოდ უძველესი, არამედ უპოპულარესი სპორტის სახეობაა ამომავალი მზის ქვეყანაში. ჩვენი ქართული ჭიდაობისა არ იყოს, სუმო იაპონელთათვის, ჭიდაობის ყველა სახეობის საფუძველთა საფუძველია. თავად სუმო არის პროფესიული და სამოყვარულო.

● ***რა აუცილებლობამ გამოიწვია სამოყვარულო სუმოს ჩამოყალიბება?***

— პროფესიული სუმო მხოლოდ იაპონიაშია და სხვაგან არსად. სუმოსთვის სამოყვარულო სტატუსის მინიჭებამ მას გზა გაუხსნა იაპონიის ფარგლებს გარეთ. ეს იყო სპორტის ამ სახეობის სხვა ქვეყნებში დანერგვისა და ხელმისაწვდომობით გამოწვეული აუცილებლობა.

● ***თქვენ ამბობთ, რომ სხვა ქვეყანაში, გარდა იაპონიისა, პროფესიონალი ვერავინ გახდება?***

— დიახ, ეს ასეა. ვისაც სურს გახდეს პროფესიონალი, მან აუცილებლად უნდა გაიაროს სპეციალური მომზადება მხოლოდ იაპონიაში. ასეთები კი ძალზე ცოტანი არიან.

● ***რატომ?***

— შერჩევაა ძალიან მკაცრი, აქ მხოლოდ სურვილი არ კმარა.

● ***ჩვენთან თუ გაუჩნდა ვინმეს თუნდაც სურვილი?***

— თქვენ წარმოიდგინეთ, სურვილი კი არა, ერთ-ერთ შეჯიბრებაზე, ქართველ მოჭიდავეს ლევან ცაგურიას თვალი დაადგეს იაპონელმა სპეციალისტებმა და თავად მიიწვიეს იაპონიაში. ლევანი 21 წლისაა და 140 კგ-ს იწონის. ეტყობა, ჩვენებურში იაპონელებმა შენიშნეს პროფესიონალი სუმისტისთვის აუცილებელი თვისებები, ეს ახალგაზრდა ძალიან ტექნიკურია.

● ***თქვენ თქვით, რომ პროფესიული სუმო მხოლოდ იაპონიაშია, მაგრამ მათ ხომ ჰყავთ მოყვარულებიც...***

— როგორ არა, სამოყვარულო სუმოს პროპაგანდა თავად იაპონელებმა დაიწყეს ამ 10 წლის წინათ. იმთავითვე დაფუძნდა ევროპის და მსოფლიოს ფედერაციები და ეს ორივე საერთაშორისო ფედერაცია სისტემატურად ატარებს თავის ჩემპიონატებს. ჩვენი ფედერაცია 1998 წელს შეიქმნა და უმალვე გაწევრიანდა ევროპის და მსოფლიო ფედერაციებში.

● ***და, საერთაშორისო შეჯიბრებებშიც იმავე წლიდან ვმონაწილეობთ, ცოტა არ იყოს, უცნაური ფაქტია, მანამდე ხომ სუმოს ჩვენში საერთოდ არ იცნობდნენ.***

— გეთანხმებით, მაგრამ ძიუდოსი არ იყოს, ნიჭიერი ფალავნები უმალვე გამოჩნდნენ, ძირითადად ისინი, ვისაც ჭიდაობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. სხვათა შორის, იაპონელები იმთავითვე გაოცდნენ, როცა ასე თამამად შევაბიჯეთ სუმოს სამყაროში. გახსოვთ, ლევან ებანოიძე 1999 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ფინალში იაპონელს სძლია, რამაც, როგორც იტყვიან, იაპონელები შოკში ჩააგდო. ლევანი ევროპის ჩემპიონიცაა, შარშან კი მსოფლიო პირველობის მესამე პრიზიორი გახდა. ევროპის მეორე პრიზიორები არიან ჯონდო დაბრუნდაშვილი, ხვიჩა ქობალია და ალექსანდრე დავითაშვილი, ბრინჯაოს მედლები ხვდათ გიორგი წმინდაშვილს, ლევან ჯაფარიძეს და ლევან ალთუნაშვილს. ისინი კვლავ რჩებიან საქართველოს ნაკრების ძირითად ბირთვად. უსახსრობის გამო შარშან ბრაზილიაში ორი მონაწილე გაემგზავრა მხოლოდ და ლევან ებანოიძე მესამე იყო, ხვიჩა ქობალია — მეოთხე.



*1999 წელი. თბილისი. ქართველი და იაპონელი სუმოს ოსტატები*

● ***კარგად გვახსოვს, ამ ორი წლის წინათ თბილისში იაპონიის გუნდი ჩამოვიდა და მონაწილეობა მიიღო საქართველოს ღია ჩემპიონატში. მაშინ სტუმრებს ვაჯობეთ, თუ არ ვცდებით, 3:0, ეს მაშინ, როცა მათ ჩვენთან ჩამოსვლამდე რუსეთის ნაკრებს სძლიეს 2:1.***

— ისინი ჩვენთან შემთხვევით არ ჩამოსულან. თავიანთ ეროვნულ სახეობას პატივს სცემენ და თუ მეტოქე ღირსეული არ არის, თავს არ გაუყადრებენ. აკი გითხარით, იაპონელებმა იმთავითვე გვაღიარეს. მათ გუნდს აქ შარშანაც მოვუგეთ 2:1.

● ***მარტო ნიჭიერება არ კმარა. ხელშეწყობა თუ გაქვთ?***

— განებივრებულები ნამდვილად არ ვართ. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტის, წარსულში ცნობილი მორაგბის თენგიზ რუხაძის ძალისხმევა რომ არა, არ ვიცი რა გვეშველებოდა. მისი დამსახურებაა, რომ ფედერაცია ფეხზე დგას და ანგარიშს გვიწევენ მთელ მსოფლიოში. აქვე გეტყვით: მსოფლიო ფედერაცია 80 ქვეყანას მიითვლის. ჩვენ რეიტინგით მხოლოდ იაპონელებს და ბულგარელებს ჩამოვრჩებით. თენგიზ რუხაძეს მხარში უდგანან ვიცე-პრეზიდენტები ანზორ მარტყოფლიშვილი და ლაშა აბესაძე, გენერალური მდივანი ზურაბ რეხვიაშვილი. გვყავს მსაჯებიც: მერაბ ლოსაურაშვილი და დავით თოდრია.

● ***როგორია სუმოს ოლიმპიური პერსპექტივა?***

— საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი სიმპათიურადაა განწყობილი. 1998 წელს სოკმა სუმო სცნო სპორტის სახეობად. სამარანჩი პირადად მიესალმა 2000 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებს — ბრაზილიელებს და მონაწილეებს.

საქართველოს ფედერაციისა და ჩვენი სუმისტების დიდ აღიარებაზე მეტყველებს ისიც, რომ წლეულს იაპონიის ქალაქ აკიტაში მიწვეული ვართ არაოლიმპიურ სახეობებში მსოფლიო თამაშებზე, რომელსაც მხარს უჭერს სოკი. პროგრამაში სპორტის 26 სახეობაა, სპორტის ხუთ სახეობაში, მათ შორის სუმოში, საჩვენებელი გამოსვლებია დაგეგმილი, საქართველო 16 სახელმწიფოსთან ერთადაა მიწვეული. ზოგს გუნდი არ ჰყავს, ზოგს სახსრები არ გააჩნია, ჩვენ კი ორი გუნდის გამოყვანაც შეგვიძლია ფული რომ გაგვაჩნდეს.

კიდევ ერთი: შვეიცარიაში სამ წელიწადში ერთხელ იმართება დიდი სახალხო ზეიმი, რომლის პროგრამაში სპორტი ფართოდაა წარმოდგენილი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ოფიციალური შეტყობინება, რომ ჩვენი გუნდი ამ ზეიმზე მიწვეულია იაპონელებთან ერთად სუმოში საჩვენებელი შეხვედრების ჩასატარებლად. აი, როგორი ავტორიტეტი გვაქვს. ამასთან, ითხოვენ ზეიმზე საქართველომ საჩვენებელი გამოსვლები წარმოადგინოს ქართულ ჭიდაობაში.

**ახლა კი წარმოგიდგენთ მეორე სტუმარს, სუმოში საქართველოს ნაკრები გუნდის წევრს ლევან ალთუნაშვილს.**




***დაიბადა*** 1969 წელს
***წონა*** 150 კგ
***სიმაღლე*** 186 სმ
***იყო მკლავჭიდელი*** — ევროპის მეორე და მსოფლიოს მესამე პრიზიორი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, საქართველოს ჩემპიონი.
***სუმოში*** 1998 წლიდანაა.
***არის*** საქართველოს ორგზის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში, პირად პირველობაში კი ორგზის პრიზიორია. შარშან, თბილისში იაპონელებთან გუნდურ შეჯიბრებაში სწორედ მისმა გამარჯვებამ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი ჩვენების სასარგებლოდ.

***ამ დღეებში სუმოს მსოფლიო ფედერაციიდან წერილი მოვიდა საქართველოს ფედერაციაში. წერილში, რომელსაც ხელს აწერს გენერალური მდივანი იაპონელი ჰიდეტოჩი ტანაკა, კიდევ ერთხელაა დადასტურებული ქართველი სუმისტების მაღალი კლასი და ავტორიტეტი. ისიც საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ლევან ცაგურიას პატივი ხვდა იაპონიაში გაიაროს სწავლება, გახდეს პროფესიონალი და წარმატებას უსურვებენ მას. გამოთქმულია რწმენა, რომ თუ ასეთი დამოკიდებულება გაგრძელდება, ქართველებს გარანტირებული ექნებათ მაღალი შედეგები. ამასთან, ჩვენი ეროვნული ნაკრები, ოქტომბერში, იაპონიის ქალაქ აომორიში მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზეა მიწვეული.***

*თ. თოგუშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო ბიულეტენი

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართვა

**ძვირფასო მეგობრებო!**
**ფეხბურთის გულშემატკივრებო!**

28 მარტს საქართველოს ეროვნული გუნდი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უმნიშვნელოვანეს მატჩს გამართავს რუმინეთის ნაკრებთან.

თითოეული ჩვენგანი მოუთმენლად ელის ამ შეხვედრას, რომლის წარმატებით ჩატარება საქართველოს ეროვნული ნაკრების წინსვლის საწინდარი გახდება შესარჩევ ციკლში. ამისთვის კი საჭიროა გუნდის სიძლიერესთან და ორგანიზაციასთან ერთად სტადიონზეც სრული წესრიგი სუფევდეს, რაშიც თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს...

მოგეხსენებათ, რუმინელებთან მატჩისთვის ფიფასა და უეფას კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად, სფფ-ს უფლება აქვს სარეალიზაციოდ გასცეს მხოლოდ და მხოლოდ ინდივიდუალური სკამებისთვის განკუთვნილი ოცი ათასი ბილეთი და აბონემენტი. ჩვენ გვესმის, რომ სტადიონზე მისვლის მსურველი გაცილებით მეტია, ამიტომაც გავიღეთ დამატებითი ხარჯები და საქართველოს ტელევიზიასთან ერთად, პირველ არხზე მატჩის პირდაპირი ტელეტრანსლირების უფლება გამოვისყიდეთ. გვსურს კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი იმ ფაქტს, რომ სტადიონზე მხოლოდ და მხოლოდ ოცი ათასი ადგილია და თამაშზე უნდა მოვიდეს ის გულშემატკივარი, რომელსაც ბილეთი ან აბონემენტი ექნება.

წინააღმდეგ შემთხვევაში განმეორდება უკრაინის ნაკრებთან მატჩის დროს მომხდარი ინციდენტი, როდესაც მხოლოდ ექვსი ათასი ბილეთი გაიყიდა და ტრიბუნაზე ხუთჯერ მეტი გულშემატკივარი მოთავსდა. ამის გამეორება დაუშვებელია, რადგან თუკი რუმინეთთან გაყიდული ბილეთების რაოდენობა არ დაემთხვა სტადიონზე მოსულ გულშემატკივართა რიცხვს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მკაცრი საჯარიმო და ფულადი სანქციები არ ასცდება. სტადიონს მიეცემა დისკვალიფიკაცია. საქართველო კი კარგა ხნით დაემშვიდობება დიდ ფეხბურთს...

სფფ-მ გადაწყვიტა ბილეთები და აბონემენტები გასაყიდად 10 მარტიდან გამოუშვას. თამაშის დღეს კი სტადიონზე ბილეთები არ გაიყიდება.

ძვირფასო გულშემატკივრებო! კიდევ ერთხელ გთხოვთ, მხარში ამოუდგეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, უბილეთოდ ნუ მოხვალთ სტადიონზე. ნუ შევქმნით ზედმეტ პრობლემებს და ნუ დავუკარგავთ საქართველოს ნაკრებს შესაძლებლობას შინ ჩაატაროს არანაკლებ მნიშვნელოვანი დარჩენილი სამასპინძლო მატჩები იტალიასთან, ლიტვასთან და უნგრეთთან...

თქვენი თანადგომის იმედი გვაქვს!..

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

## ქუთაისელები ზურს გამოტოვებენ

ორიოდე დღეში, უფრო ზუსტად, 28 თებერვალს, უმაღლესი ლიგის გუნდები განაახლებენ საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატის გათამაშებას. გასამართი XVIII ტურის მატჩებიდან ერთი გადატანილია – ეს „მერანი-91“-ისა და „ტორპედოს“ შეხვედრას ეხება. მიზეზიც ცნობილია: იმერთა გუნდის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწვეულია ეროვნულ ნაკრებში. ამავე მიზეზით არ შედგა 24 თებერვალს ქობულეთის „შუქურას“ განახლებულ სტადიონზე დანიშნული საქართველოს სუპერთასის მატჩი ქუთაისის „ტორპედოსა“ და თბილისის „ლოკომოტივს“ შორის.

სფფ-ს გადაწყვეტილებით, საფეხბურთო გაზონის მოწესრიგების მიზნით ერთი თვით დაიკეტა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, სადაც 28 მარტს საქართველოს ნაკრებმა რუმინეთს უნდა უმასპინძლოს. ამიტომ თბილისის „დინამო“ ამ პერიოდში საშინაო მატჩებს დიღომში, ბაზაზე გამართავს, „ლოკომოტივი“ კი – ვაკეში, მშენებარე სტადიონზე.

## რა ღირს ალეკო რეხვიაშვილი?

გახსოვთ კახი კალაძის „მილანში“ გადასვლის წინა დღეები? ზუსტად მაშინ, როდესაც ქართველი ლეგიონერის წამოსაყვანად როსონიერთა სკაუტებმა გეზი მოსკოვისაკენ აიღეს (კიევის „დინამო“ იმ დღეებში „თანამეგობრობის“ ტურნირში მონაწილეობდა), უკრაინელთა გუნდის ვიცე-პრეზიდენტი იოჟეფ საბო ჟურნალისტებს არწმუნებდა – კალაძეს არ გავყიდითო. მიუხედავად ამისა, ტრანსფერი, ფაქტობრივად, მეორე დღესვე „გაიჩარხა“.

ალბათ, ახლაც ასეა, – რიგის „სკონტოს“ მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ სტარკოვმა ჟურნალისტებს განუცახდა, რომ გუნდის კაპიტნის ალეკო რეხვიაშვილის გაყიდვას ლატვიური კლუბი არ აპირებს, ვინაიდან ფინანსურ კრიზისს არ განიცდის, თანაც ისიც გაითვალისწინეთ, რომ იტალიის სერია A-ში სატრანსფერო სეზონი ზაფხულამდე დაიკეტაო. და მაინც, მიუხედავად ამისა, „ბოლონიას“, თურმე, უკვე დაუსრულებია მოლაპარაკება ლატვიურ მხარესთან, რიგში სერია A-ს სხვა კლუბებიც დგანან. ვინ გადაგვიხდის მეტს? – მარჩიელობენ რიგელები.



## დემეტრაძემ ტრავმა მოიშუშა და მალე მინდორზეც ვიხილავთ

ქართველი გულშემატკივრების ყურადღება კვლავ მიპყრობილია ესპანეთის პრემიერა-დივიზიონის კლუბ „რეალ-სოსიედადისკენ“ – ტრავმამოშუშებული ფორვარდი გიორგი დემეტრაძე ინტენსიურ ვარჯიშს შეუდგა და, სავარაუდოდ, უკვე 4 მარტს „რაიო ვალეკანოსთან“ საშინაო მატჩში მიიღებს მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ შემდეგი თამაში „სოსიედადს“ მადრიდში ელის – მისი მეტოქე თავად „რეალი“ იქნება.

## ბათუმელები ბულგარეთიდან დაბრუნდნენ

ბათუმის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი დაბრუნდა ბულგარეთიდან, სადაც ორკვირიანი შეკრება გაიარა. ასლან ბალაძის შეგირდებმა ბალკანეთზე 5 ამხანაგური მატჩი გამართეს. აჭარელმა ფეხბურთელებმა 4 მატჩი მოიგეს – დაამარცხეს ანგარიშით 1-0 „იამბოლი-97“ (გოლი გაიტანა შალვა აფხაზავამ), ველიკო ტირნოვის „ეტირი“ 3-0 (თემურ ტულუში, გოჩა ყულეჯიშვილი, ვიტალი დარჩიძე), ტირნოვის ახალგაზრდული ნაკრები 2-1 (ვიტალი დარჩიძე, გოჩა ყულეჯიშვილი), ტირნოვის ასკ 2-0 (პაატა მაჭუტაძე, ვიტალი დარჩიძე). ქართველმა ფეხბურთელებმა მხოლოდ ბოლო მატჩი წააგეს „ჩარაჯონთან“ 1-2 (ამირან მუჯირი).

## დღეს კიოლნში...

*დღეს კიოლნში ჩვენი დროით 21 საათსა და 30 წუთზე შედგება ამხანაგური საერთაშორისო მატჩი – საქართველოს ეროვნული ნაკრები ბუნდესლიგის ადგილობრივ კლუბს ეთამაშება. სტუმართა გუნდის შემადგენლობა ამას წინათ გაგაცანით. ყურადღებას იპყრობს ნაკრებში მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფორვარდის ზაზა ჯანაშიას დაბრუნება. არსებული ინფორმაციით, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელები დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი ამ ფეხბურთელის მოწვევას აპირებენ 28 მარტსაც – მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში რუმინელების წინააღმდეგ.*



ზაზა ჯანაშია



## ზინედინ ზიდანი: მხოლოდ მაშინ გავილაღე, როცა კალაძემ მინდორი დატოვა

როსონიერთა თავკაცის ალბერტო ძაკერონის მითითებით, „მილანის“ მეცამეტე ნომერი კახი კალაძე „იუვენტუსის“ მთავარ მამოძრავებელ ძალას ზინედინ ზიდანს „მიეწება“ და ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ლეგიონერმა მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი ნახევარმცველი ტაიმნახევარი გამოთიშა თამაშიდან, მანამდის სანამ სერია A-ს დებიუტანტმა ტრავმის გამო მინდორი არ დატოვა, აი, მერე კი, ფრანგმა მართლაც „აიწყვიტა“. აი, რა თქვა მატჩის შემდეგ ზიდანმა: „მეორე ტაიმის შუაგულამდე თამაში არ გამომივიდა. კალაძე ძალიან მჭიდროდ მეთამაშებოდა და ჩემდა გასაოცრად, მას ვერაფრით ვაჯობე. მხოლოდ მაშინ გავილაღე, როცა მან ტრავმის გამო შეცვლა ითხოვა. ვიგრძენი რა თავისუფლება, გოლიც გავიტანე“.

ცნობისათვის, „მილანმა“ ეს მატჩი 0-3 წააგო, ხოლო ქართველი ფეხბურთელი ტრავმის გამო შემდეგ მატჩსაც გამოტოვებს.

*სურათზე: კახი კალაძე (№13).*

## ცვეიბა გაზაევმა მიიწვია

ოდესღაც თბილისის „დინამოში“ მოთამაშე მცველმა ახრიკ ცვეიბამ კვლავ გამოიცვალა კლუბი. ამჟამად 34 წლის ფეხბურთელი მწვრთნელ ვალერი გაზაევის მოწვევით მოსკოვის „დინამოში“ ჩაირიცხა. „გუნდში გულთბილად მიმიღეს – თქვა ცვეიბამ, – მწვრთნელს სურს ლიბეროს პოზიციაზე მათამაშოს. დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ შემიძლია უმაღლეს დონეზე ვიასპარეზო, წინააღმდეგ შემთხვევაში „დინამოში“ აღარ წავიდოდი“.

მოსკოვის „დინამო“ ცვეიბასთვის უკვე მეოთხე რუსეთის კლუბია, აქამდე იგი გამოდიოდა ვლადიკავკაზის „ალანიაში“, ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზში“ და ელისტას „ურალანში“, სადაც შარშანდელი სეზონი გაატარა.



ცვეიბა

## რა იქნებოდა „ციურიხი“ უქართველებოდ?

სხვა ქვეყნების დარად განახლდა ჩემპიონატი შვეიცარიაშიც, სადაც ამჯერად ნაციონალური ლიგის პირველ რვა ადგილზე გასული გუნდები აგრძელებენ ასპარეზობას. შაბათს, პირველ ტურში „ციურიხი“ სტუმრად ეთამაშებოდა „ლოზანას“.



უმძაფრეს პაექრობაში ანგარიში 73-ე წუთზე გახსნა მიხეილ ყაველაშვილმა. აღსანიშნავია, რომ სტუმართა შედეგიან შეტევაში აქტიური მონაწილეობა მიიღო გოჩა ჯამარაულმაც. „ლოზანა“ წაგებას გადაარჩინა გომეშმა, რომელმაც ანგარიში გაქვითა მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე.

შვეიცარიული პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ორივე ქართველი ლეგიონერის თამაშს და აღნიშნავს, რომ ყაველაშვილი-ჯამარაულის დუეტი „ციურიხის“ წამყვანი ძალაა: „ეს ფეხბურთელები უმაღლესი კლასის მოთამაშეები არიან და ნებისმიერ გუნდს დაამშვენებენ“. მართლაც, რა იქნებოდა „ციურიხი“ უქართველებოდ?

ბიბლიოთეკა

# ბავშვთა ფეხბურთი

## მიხეილ მესხის ტურნირი

ამ დღეებში დასრულდა 1988 წელს დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა ტურნირი მიხეილ მესხის თასზე „შევარდენის“ დახურულ მანეჟში, 12 გუნდის მონაწილეობით.

„შევარდენის“ პირველმა გუნდმა ნახევარფინალში თანაკლუბელთა მეორე გუნდს აჯობა, „მთვარის გლობუსმა“ კი „სიხარულს“ მოუგო. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში „სიხარულმა“ „შევარდენის“ მეორე გუნდს აჯობა 3-1. ფინალში კი „შევარდენის“ პირველმა გუნდმა დიდი ანგარიშით 5-0 სძლია „მთვარის გლობუსს“ და მთავარ პრიზს დაეუფლა. გამარჯვებულის მწვრთნელია გოგი იაშვილი.

ცალკეული პრიზები დაიმსახურეს: საუკეთესო ნახევარმცველის — ხვიჩა ალადაშვილმა („შევარდენი-2“), თავდამსხმელისა — კახა ჟურულმა, საუკეთესო ფეხბურთელისა ბესო ჩიმაკაძემ (ორივე — „შევარდენი-1“).





დგანან (მარცხნიდან) — ლუკა ოკუჯავა, ირაკლი გვრიტიშვილი, აკაკი ჯოხაძე, როსტომ მასხიანი, დავით გოგატიშვილი, ლევან მითაიშვილი, მწვრთნელი დავით ძაგანია. სხედან — ზურაბ გვასალია, ნიკა ჯალაღონია, მწვრთნელი გია ჯმუხაძე, ბიჭიკო კოპალიანი, შალვა ცხვედიანი, ლევან ხუციშვილი, ზურაბ ღარიბაშვილი, ვასილ ფურცელაძე.

## „შევარდენის“ ორივე გუნდი – საუკეთესო!



„შევარდენისა“ და „XXI საუკუნის“ ორ-ორი, ტაბახმელის, სოლოლაკის, შავნაბადა – თელეთის, ვარკეთილის, ფონიჭალის, შავნაბადას „არგოს“, „იბერიის“, „ივერიის“ და „აისის“ გუნდებმა, ფიზიკური აღზრდის კოლეჯ „აისისა“ და შეჯიბრების ორგანიზატორის ბიჭიკო მაჩაბლიშვილის თაოსნობით ბავშვთა საინტერესო ტურნირი ჩატარდა დევიზით „XXI საუკუნე“. მოხდა ისე, რომ გამარჯვებული და მეორე პრიზიორი ერთი და იგივე კლუბისა და ერთი და იგივე მწვრთნელის აღზრდილები არიან. ესაა „შევარდენი – 2“ (I ადგილი) და „შევარდენი – 1“ (II ადგილი), მწვრთნელი კი რევაზ წერეთელი გახლავთ. მესამე ადგილი წილად ხვდათ „შავნაბადას“ (მწვრთნელი გივი გურულიშვილი) და „XXI საუკუნეს“ (ნოდარ ლეჟავა).




პრიზები გადაეცათ: საუკეთესო მეკარის – ამირან კოტრიკაძეს, საუკეთესო ფეხბურთელის – მალხაზ ხურცილავას (ორივე – „შევარდენი“), საუკეთესო მცველის – ლაშა ჯაკობიას („XXI საუკუნე“), ნორჩი ფეხბურთელის – თორნიკე კულუმბეგაშვილს („შავნაბადა“).

**გვერდისთვის ფოტორეპორტაჟი მოამზადა რობერტ ბაგოიანმა**

## ეს ყისმათიანი მერანელები

ამ დღეებში „მართვეს“ საფეხბურთო კლუბმა უმასპინძლა ბორის პაიჭაძის ხსოვნის ტურნირს, რომელშიც 1990 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდები მონაწილეობდნენ. ამჯერად თბილისის კოლექტივებთან ერთად ასპარეზზე მცხეთის რაიონის „მუხრანმაც“ (მწვრთნელი — გ. მიქელაძე).

ტურნირში მონაწილე 20 გუნდი ოთხ ჯგუფად განაწილდა. ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა — ნახევარფინალში უთუოდ უძლიერესი გუნდები მოხვდნენ. პირველ წყვილში „მერანი-91“ შეხვდა „ივერიას“. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 0-0. პენალტების სერიით გამარჯვებულად მერანელები გამოცხადდნენ. მეორე ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ „არწივი-1“ და 35-ე საფეხბურთო სკოლა. ანგარიშით 2-0 გაიმარჯვა 35-ე სკოლამ. ტურნირის ფინალური მატჩი „მერანი-91“-სა და 35-ე სკოლას შორის ძალზე დაძაბულად წარიმართა. მოპაექრე გუნდები დაახლოებით თანაბარი ძალისანი გამოდგნენ და ძირითადი დროც ასევე ფრედ 2-2 დამთავრდა. გამარჯვებული აქაც პენალტების სერიამ გამოავლინა. მერანელებმა უკეთ შეასრულეს ეს პროცედურა — 5-2. გამარჯვებული გუნდების მწვრთნელებია დავით ძაგანია და გია ჯმუხაძე, დამარცხებულისა — თემურ ლორთქიფანიძე, ზურაბ თარაშვილი და ბექა ტუხაშვილი.

ტურნირის თავგამოჩენილი ფეხბურთელები სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდნენ: „საუკეთესო მცველი“ — თენგიზ თურმანიძე („მერანი-91“), „საუკეთესო ფეხბურთელი“ — ზვიად ჭადაშვილი („არწივი“), „საუკეთესო მეკარე“ — დავით ნიკოლაიშვილი („ვაკე-91“), „საუკეთესო ნახევარმცველი“ — მირზა ჩუბინიძე („მერანი-91“), საუკეთესო გამთამაშებელი — მევლუდ ჯიქური („მერანი-91“).

აქვე იმასაც ვიტყვით, რომ მესამე ადგილისათვის ორთაბრძოლაში „არწივმა“ ანგარიშით 1-0 დაამარცხა „ივერია“. „არწივის“ მწვრთნელი ნუგზარ აბრამიშვილია.



**35-Ე საფეხბურთო სკოლა.** დგანან (მარცხნიდან) — მწვრთნელი ბექა ტუხაშვილი, გუგა ჯულუხიძე, ზურაბ თარაშვილი, მწვრთნელი ზურაბ თარაშვილი, ვალერი ჯელაძე, მერაბ ღირსიაშვილი, მწვრთნელი თემურ ლორთქიფანიძე. სხედან – გიორგი ჭკუასელი, ვალერი ჭრელაშვილი, გიგა ჯელაძე, გიორგი ლუკავა, ირაკლი გონაძე, თორნიკე ჭეიშვილი.





სხედან (მარცხნიდან): ილია მერაბიშვილი, გიორგი ბურნაძე, ლევან ფირცხალავა, დავით ჭანტურია, ბექა ჯინჭარაძე, მერაბ სანოძე.
დგანან: ზვიად ჭადაშვილი, გიორგი კირვალიძე, გიორგი მკლავიშვილი, დავით ხეჩანიანი, ოთარ ჭავჭანიძე, მწვრთნელი ნუგზარ აბრამიშვილი.

## «აისის» კიდევ ერთი ტურნირი

საქართველოს ფიზიკური აღზრდის კოლეჯმა (დირექტორი, დოცენტი თემურ ლორთქიფანიძე) მეორე ტურნირიც ჩაატარა ჭაბუკ ფეხბურთელთათვის — ამჯერად სახელწოდებით „თბილისი, XXI საუკუნე“. მონაწილეობდნენ „არეალი“ და „ბერმუხა“ ორ-ორი გუნდით, „არგო“, შავნაბადა — თელეთი „ავაზანა“, „აისი“, სოლოლაკი, ვაზისუბანი, ვარკეთილი, „იბერია“. ადგილები ასე განაწილდა: 1. შავნაბადა (მწვრთნელები გივი ბუაძე და გივი გურულიშვილი), 2. „ბერმუხა“ (თამაზ გურასპიშვილი), 3. „ავაზანა“ (პაატა კირთაძე).

ტურნირი მოსწავლეთა ზამთრის არდადეგებს მიეძღვნა.

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## ბელგია
### I დივიზიონი. XXIII ტური

*გადადებული მატჩები*

ბენტი – ბრიუგე 0-2
ვესტერლო – ანდერლეხტი 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 23 | 19 | 4 | 0 | 68-19 | 61 |
| ბრიუგე | 23 | 17 | 5 | 1 | 65-18 | 56 |
| სტანდარდი | 23 | 12 | 7 | 4 | 54-26 | 43 |
| გენტი | 23 | 12 | 6 | 5 | 43-33 | 42 |
| ვესტერლო | 23 | 12 | 5 | 6 | 44-33 | 41 |
| მუსკრონი | 23 | 11 | 4 | 8 | 45-31 | 37 |
| ბეერსხოტი | 23 | 11 | 3 | 9 | 42-34 | 36 |
| შარლერუა | 23 | 11 | 3 | 9 | 38-41 | 36 |
| ლიერსი | 23 | 10 | 5 | 8 | 35-29 | 35 |
| ლოკერენი | 23 | 9 | 7 | 7 | 34-32 | 34 |
| ბევერენი | 23 | 8 | 6 | 9 | 22-41 | 30 |
| გენკი | 23 | 7 | 6 | 10 | 28-34 | 27 |
| ანტვერპენი | 23 | 7 | 3 | 13 | 25-34 | 24 |
| აალსტი | 23 | 5 | 5 | 13 | 23-49 | 20 |
| სტ. ტრუიდ. | 23 | 4 | 4 | 15 | 22-41 | 16 |
| ჰარელბეკე | 23 | 5 | 1 | 17 | 28-66 | 16 |
| მეხელენი | 23 | 2 | 6 | 15 | 27-53 | 12 |
| ლუვიე | 23 | 1 | 8 | 14 | 15-44 | 11 |



დეპორტივო – რეალი 2-2

## თურქეთი
### XXII ტური

გაზიანთეფი – გენჩლერბირლ. 1-0
ანკარაგიუჯიუ – იეთფა 4-1
რიზე – ანთალია 0-2
ადანა – იოზგათი 3-3
ფენერბახჩე – ბეშიქთაში 3-1
ბურსა – დენიზლი 2-1
ტრაბზონი – ისთანბული 1-2
ერზურუმი – სამსუნი 1-2
გალათასარაი – ქოჯაელი 2-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბახჩე | 22 | 16 | 3 | 3 | 57-24 | 51 |
| გალათასარაი | 22 | 14 | 4 | 4 | 47-20 | 46 |
| გაზიანთეფი | 22 | 12 | 7 | 3 | 43-25 | 43 |
| ბეშიქთაში | 22 | 13 | 4 | 5 | 46-36 | 43 |
| ტრაბზონი | 22 | 10 | 5 | 7 | 44-34 | 35 |
| სამსუნი | 22 | 9 | 6 | 7 | 36-32 | 33 |
| გენჩლერბირ. | 22 | 10 | 3 | 9 | 30-31 | 33 |
| ანკარა | 22 | 8 | 8 | 6 | 35-37 | 32 |
| ისთანბული | 22 | 8 | 6 | 8 | 29-30 | 30 |
| დენიზლი | 22 | 7 | 8 | 7 | 29-34 | 29 |
| რიზე | 22 | 8 | 4 | 10 | 28-24 | 28 |
| ანთალია | 22 | 7 | 7 | 8 | 31-35 | 28 |
| იოზგათი | 22 | 6 | 8 | 8 | 30-29 | 26 |
| ბურსა | 22 | 6 | 6 | 10 | 34-42 | 24 |
| ქოჯაელი | 22 | 4 | 8 | 10 | 28-42 | 20 |
| ადანა | 22 | 2 | 9 | 11 | 33-46 | 15 |
| ერზურუმი | 22 | 3 | 4 | 15 | 24-57 | 14 |
| იეთფა | 22 | 2 | 6 | 14 | 24-51 | 12 |

## საფრანგეთი
### პირველი დივიზიონი

*გადადებული მატჩი*

ტრუა – რენი 3-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 27 | 13 | 8 | 6 | 32-19 | 47 |
| ნანტი | 27 | 14 | 5 | 8 | 43-33 | 47 |
| ბორდო | 27 | 12 | 10 | 5 | 37-23 | 46 |
| სედანი | 27 | 13 | 7 | 7 | 36-25 | 46 |
| ლიონი | 27 | 10 | 13 | 4 | 37-24 | 43 |
| ტრუა | 27 | 11 | 8 | 8 | 37-37 | 41 |
| რენი | 27 | 11 | 6 | 10 | 33-28 | 39 |
| ბასტია | 27 | 11 | 5 | 11 | 33-30 | 38 |
| გენგამი | 27 | 10 | 8 | 9 | 32-32 | 38 |
| ოსერი | 27 | 10 | 7 | 10 | 29-31 | 37 |
| მონაკო | 27 | 10 | 5 | 12 | 41-38 | 35 |
| პსჟ | 27 | 9 | 6 | 12 | 33-37 | 33 |
| ლანსი | 27 | 8 | 8 | 11 | 28-29 | 32 |
| მარსელი | 27 | 9 | 5 | 13 | 26-33 | 32 |
| ტულუზა* | 27 | 5 | 10 | 12 | 26-36 | 28 |
| მეცი | 26 | 6 | 9 | 11 | 24-38 | 27 |
| სტ. ეტიენი** | 27 | 8 | 7 | 12 | 35-43 | 25 |
| სტრასბურგი | 26 | 5 | 7 | 14 | 24-50 | 22 |

*ტულუზას მომატებული აქვს 3 ქულა
**სტ. ეტიენს დაკლებული აქვს 6 ქულა

## იტალია
### სერია A. XX ტური

ფიორენტინა – ბრეშა 2-2
ატალანტა – ბარი 0-0
ბოლონია – ნაპოლი 2-1
პარმა – პერუჯა 5-0
ლეჩე – რეჯინა 2-1
ვიჩენცა – რომა 0-2
ინტერი – უდინეზე 2-1
ლაციო – ვერონა 5-3
იუვენტუსი – მილანი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 20 | 15 | 3 | 5 | 38-14 | 45 |
| იუვენტუსი | 20 | 12 | 6 | 2 | 36-15 | 42 |
| ლაციო | 20 | 12 | 4 | 4 | 39-23 | 40 |
| პარმა | 20 | 9 | 5 | 6 | 29-18 | 32 |
| ატალანტა | 20 | 8 | 8 | 4 | 23-16 | 32 |
| უდინეზე | 20 | 9 | 1 | 10 | 34-33 | 28 |
| ინტერი | 20 | 7 | 7 | 6 | 23-22 | 28 |
| ბოლონია | 20 | 8 | 4 | 8 | 25-26 | 28 |
| მილანი | 20 | 7 | 7 | 6 | 30-32 | 28 |
| ფიორენტინა | 20 | 6 | 9 | 5 | 33-28 | 27 |
| პერუჯა | 20 | 7 | 5 | 8 | 25-28 | 26 |
| ლეჩე | 20 | 6 | 7 | 7 | 25-31 | 25 |
| ბრეშა | 20 | 4 | 9 | 7 | 24-28 | 21 |
| ნაპოლი | 20 | 5 | 5 | 10 | 22-32 | 20 |
| რეჯინა | 20 | 4 | 3 | 13 | 15-34 | 15 |
| ბარი | 20 | 3 | 4 | 13 | 16-32 | 13 |

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. XXXIV ტური

დეპორტივო – რეალი 2-2
რაიო ვალეკ. – ესპანიოლი 1-1
ალავესი – სელტა 2-2
ოვიედო – ოსასუნა 2-3
ვალიადოლიდი – სარაგოსა 2-0
ვალენსია – ვილიარეალი 3-1
მალაგა – ლას პალმასი 2-1
ბილბაო – ნუმანსია 3-1
რასინგი – მალიორკა 2-1
ბარსელონა – სოსიედადი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 24 | 16 | 4 | 4 | 54-27 | 52 |
| დეპორტივო | 24 | 14 | 6 | 4 | 47-26 | 48 |
| ვალენსია | 24 | 13 | 6 | 5 | 39-17 | 45 |
| ბარსელონა | 24 | 13 | 4 | 7 | 51-3 | 43 |
| ვილიარეალი | 24 | 11 | 5 | 8 | 32-27 | 38 |
| მალიორკა | 24 | 10 | 8 | 6 | 33-31 | 38 |
| რაიო ვალეკ. | 24 | 8 | 10 | 6 | 43-38 | 34 |
| ალავესი | 24 | 10 | 4 | 10 | 34-31 | 34 |
| ბილბაო | 24 | 9 | 6 | 9 | 33-36 | 33 |
| ვალიადოლ. | 24 | 7 | 11 | 6 | 28-27 | 32 |
| ესპანიოლი | 24 | 9 | 4 | 11 | 31-28 | 31 |
| მალაგა | 24 | 9 | 4 | 11 | 37-38 | 31 |
| ლას პალმასი | 24 | 9 | 4 | 11 | 25-41 | 31 |
| სარაგოსა | 24 | 7 | 9 | 8 | 35-34 | 30 |
| სელტა | 24 | 7 | 8 | 9 | 29-35 | 29 |
| ოვიედო | 24 | 8 | 3 | 13 | 31-45 | 27 |
| ნუმანსია | 24 | 6 | 5 | 13 | 24-41 | 23 |
| სოსიედადი | 24 | 5 | 6 | 13 | 26-50 | 21 |
| რასინგი | 24 | 5 | 5 | 14 | 28-41 | 20 |
| ოსასუნა | 24 | 4 | 8 | 12 | 25-38 | 20 |

## ინგლისი
### I დივიზიონი. XXVIII ტური

ბრედფორდი – ვესტ ჰემი 1-2
ქოვენთრი – ჩარლტონი 2-2
დერბი – ასტონ ვილა 1-0
იფსვიჩი – ევერტონი 2-0
ლესტერი – სანდერლენდი 2-0
მიდლსბრო – საუთჰემპტონი 0-1
ნიუკასლი – მანჩესტერ სიტი 0-1
ტოტენჰემი – ლიდსი 1-2
მანჩესტერ იუნ. – არსენალი 6-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტ.იუნ. | 28 | 20 | 6 | 2 | 65-18 | 66 |
| არსენალი | 28 | 14 | 8 | 6 | 44-29 | 50 |
| ლივერპული | 26 | 13 | 6 | 7 | 47-28 | 45 |
| სანდერლენ. | 28 | 12 | 8 | 8 | 32-27 | 44 |
| იფსვიჩი | 27 | 13 | 4 | 10 | 39-33 | 43 |
| ლიდსი | 28 | 12 | 7 | 9 | 41-36 | 43 |
| ლესტერი | 27 | 12 | 6 | 9 | 29-29 | 42 |
| ჩარლტონი | 28 | 11 | 8 | 9 | 38-40 | 41 |
| ჩელსი | 26 | 10 | 8 | 8 | 48-33 | 38 |
| საუთჰემპტ. | 27 | 10 | 8 | 9 | 32-34 | 38 |
| ნიუკასლი | 27 | 11 | 4 | 12 | 32-38 | 37 |
| ტოტენჰემი | 28 | 9 | 9 | 10 | 32-36 | 36 |
| ვესტ ჰემი | 27 | 8 | 11 | 8 | 35-32 | 35 |
| ასტონ ვილა | 26 | 8 | 9 | 9 | 28-28 | 33 |
| ევერტონი | 28 | 8 | 7 | 13 | 30-42 | 31 |
| დერბი | 28 | 7 | 10 | 11 | 28-43 | 31 |
| მიდლსბრო | 28 | 5 | 12 | 11 | 31-35 | 27 |
| მანჩესტ.სიტი | 28 | 6 | 8 | 14 | 31-46 | 26 |
| ქოვენთრი | 28 | 5 | 8 | 15 | 26-48 | 23 |
| ბრედფორდი | 27 | 3 | 7 | 17 | 17-50 | 16 |

## პორტუგალია
### I ლიგა. XXII ტური

ბელენენსეში – ამადორა 0-3
სპორტინგი – ჟილ ვისენტე 3-1
ფარენსე – ავეში 1-0
ფერეირა – ლეირია 0-0
კამპომაიორ. – ბეირა მარი 0-2
ალვერკა – ბრაგა 4-1
ბენფიკა – ბოავიშტა 0-0
მარიტიმუ – პორტუ (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 22 | 13 | 7 | 2 | 39-13 | 46 |
| ბენფიკა | 22 | 13 | 5 | 4 | 39-21 | 44 |
| სპორტინგი | 22 | 13 | 3 | 6 | 38-24 | 42 |
| პორტუ | 21 | 13 | 2 | 6 | 40-18 | 41 |
| ბრაგა | 22 | 11 | 7 | 4 | 34-26 | 40 |
| ბელენენსეში | 22 | 10 | 6 | 6 | 27-19 | 36 |
| ფერეირა | 22 | 8 | 8 | 6 | 26-18 | 32 |
| ფარენსე | 22 | 8 | 8 | 6 | 26-26 | 32 |
| სალგეიროში | 21 | 9 | 3 | 9 | 21-29 | 30 |
| ბეირა მარი | 22 | 8 | 5 | 9 | 25-30 | 29 |
| ალვერკა | 22 | 8 | 4 | 10 | 33-35 | 28 |
| ლეირია | 22 | 6 | 10 | 6 | 23-30 | 28 |
| მარიტიმუ | 21 | 7 | 6 | 8 | 21-21 | 27 |
| გიმარაეში | 21 | 4 | 7 | 10 | 24-36 | 19 |
| კამპომაიორ. | 22 | 3 | 9 | 10 | 16-35 | 18 |
| ჟილ ვისენტე | 22 | 4 | 5 | 13 | 18-31 | 17 |
| ამადორა | 22 | 3 | 4 | 15 | 19-35 | 13 |
| ავეში | 22 | 2 | 7 | 13 | 19-41 | 13 |

## ჰოლანდია
### I დივიზიონი

ნაიმეგენი – სპარტა 0-3
ტილბურგი – ჰერენვენი 1-6
ტვენტე – ვიტესი 2-1
ვალვაიკი – სიტარდი 1-0
ალკმაარი – როდა 2-4
ფეიენოორდი – პსვ 1-2
გრონინგენი – ბრედა 0-0
აიაქსი – უტრეხტი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 23 | 17 | 5 | 1 | 49-14 | 56 |
| ფეიენოორდი | 22 | 17 | 1 | 4 | 48-19 | 52 |
| აიაქსი | 22 | 13 | 4 | 5 | 54-26 | 43 |
| ვიტესი | 22 | 11 | 5 | 6 | 41-36 | 38 |
| როდა | 22 | 11 | 4 | 7 | 41-29 | 37 |
| ვალვაიკი | 22 | 10 | 7 | 5 | 28-18 | 37 |
| უტრეხტი | 21 | 9 | 4 | 8 | 38-34 | 31 |
| ტილბურგი | 22 | 8 | 7 | 7 | 34-33 | 31 |
| ნაიმეგენი | 22 | 6 | 11 | 5 | 29-28 | 29 |
| ბრედა | 22 | 8 | 5 | 9 | 29-34 | 29 |
| ტვენტე | 22 | 7 | 7 | 8 | 33-37 | 28 |
| ჰერენვენი | 21 | 6 | 8 | 7 | 27-29 | 26 |
| გრონინგენი | 22 | 7 | 5 | 10 | 27-33 | 26 |
| ალკმაარი | 22 | 7 | 5 | 10 | 33-44 | 26 |
| სპარტა | 23 | 4 | 5 | 14 | 30-46 | 17 |
| გრააფსხაპი | 22 | 5 | 2 | 15 | 28-45 | 17 |
| როზენდალი | 22 | 4 | 1 | 17 | 29-61 | 13 |
| სიტარდი | 22 | 2 | 6 | 14 | 14-46 | 12 |

## შოტლანდია
### XXIX ტური

დანდი – რეინჯერსი 0-1
ჰართსი – დანფერმლაინი 7-1
კილმარნოკი – დანდი იუნ. 0-0
სტ. მირენი – მოზერუელი 0-1
სელტიკი – ჰიბერნიანი 1-1
აბერდინი – სტ. ჯონსტ. (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 28 | 23 | 4 | 1 | 72-22 | 73 |
| რეინჯერსი | 27 | 19 | 3 | 5 | 54-25 | 60 |
| ჰიბერნიანი | 28 | 17 | 8 | 3 | 50-19 | 59 |
| კილმარნოკი | 28 | 13 | 5 | 10 | 34-36 | 44 |
| ჰართსი | 28 | 11 | 6 | 11 | 45-41 | 39 |
| დანფერმლ. | 29 | 10 | 7 | 12 | 28-41 | 37 |
| მოზერუელი | 29 | 10 | 5 | 14 | 34-42 | 35 |
| სტ.ჯონსტონი | 27 | 7 | 10 | 10 | 27-38 | 31 |
| დანდი | 27 | 8 | 6 | 13 | 37-35 | 30 |
| აბერდინი | 26 | 6 | 9 | 11 | 28-40 | 27 |
| დანდი იუნ. | 28 | 3 | 6 | 19 | 21-52 | 15 |
| სტ. მირენი | 29 | 4 | 3 | 22 | 19-58 | 15 |

## ავსტრია
### XXII ტური

*გადადებული მატჩი*

შტურმი – ტიროლი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 23 | 12 | 6 | 5 | 42-21 | 42 |
| რაპიდი | 22 | 12 | 6 | 4 | 44-25 | 42 |
| აუსტრია | 22 | 10 | 6 | 6 | 33-20 | 36 |
| შტურმი | 23 | 10 | 4 | 9 | 39-31 | 34 |
| გრაცერი | 22 | 10 | 4 | 8 | 32-27 | 34 |
| ზალცბურგი | 22 | 9 | 6 | 7 | 32-27 | 33 |
| რიდი | 22 | 8 | 6 | 8 | 35-32 | 30 |
| ბრეგენცი | 22 | 6 | 4 | 12 | 27-44 | 22 |
| ადმირა | 22 | 4 | 5 | 13 | 18-51 | 17 |
| ლინცერი | 22 | 3 | 7 | 12 | 23-47 | 16 |

## შვეიცარია
### „ა" ჯგუფი. I ტური

გრასჰოპერსი – სტ. გალენი 2-1
ლოზანა – ციურიხი 1-1
ლუგანო – სიონი 1-1
სერვეტი – ბაზელი 3-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლუგანო | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 22 |
| გრასჰოპერსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 21 |
| სერვეტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 20 |
| სტ. გალენი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 20 |
| ლოზანა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 19 |
| ციურიხი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 17 |
| სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 17 |
| ბაზელი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 17 |

### „ა/ბ" ჯგუფი. I ტური

ვილი – იანგ ბოისი 0-0
არაუ – ბელინცონა 0-2
ქსამაქსი – ივერდონი 1-1
ვინტერთური – ლუცერნი 1-2

### „ბ" ჯგუფი. I ტური

დელემონი – სოლოთურნი 2-0
ლოკარნო – ბადენი 3-0
თუნი – კარუჟი 0-1
კრინსი – ვანგენი (გადაიდო)

## საბერძნეთი
### XX ტური

პანილიაკოსი – პანათინაიკ. 0-3
იონიკოსი – პანაჰაიკი 3-1
ეთნიკოსი – კალამატა 1-3
არისი – ქსანთი 1-0
ათინაიკოსი – იანინა 0-1
ირაკლისი – პანიონისი 4-3
ოფი – პაოკი 0-0
აეკ – ოლიმპიაკოსი 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკ. | 20 | 17 | 2 | 1 | 61-15 | 53 |
| პანათინაიკ. | 20 | 13 | 5 | 2 | 35-10 | 44 |
| აეკი | 20 | 12 | 3 | 5 | 39-26 | 40 |
| პაოკი | 20 | 10 | 7 | 3 | 43-29 | 37 |
| ირაკლისი | 20 | 11 | 3 | 6 | 33-24 | 36 |
| იონიკოსი | 20 | 9 | 6 | 5 | 31-26 | 33 |
| არისი | 20 | 9 | 4 | 7 | 22-21 | 31 |
| ქსანთი | 20 | 8 | 4 | 8 | 14-18 | 28 |
| პანიონიოსი | 20 | 4 | 9 | 7 | 22-28 | 21 |
| ეთნიკოსი | 20 | 6 | 3 | 11 | 21-38 | 21 |
| იანინა | 20 | 5 | 5 | 10 | 27-37 | 20 |
| პანაჰაიკი | 20 | 4 | 5 | 11 | 23-35 | 17 |
| ათინაიკოსი | 20 | 4 | 4 | 12 | 27-41 | 16 |
| პანილიაკ. | 20 | 3 | 7 | 10 | 15-31 | 16 |
| კალამატა | 20 | 2 | 8 | 10 | 26-41 | 14 |
| ოფი | 20 | 2 | 7 | 11 | 19-37 | 13 |

### „ბარსელონასა და „არსენალს" შორის დიდი გაცვლა-გამოცვლა მოხდება

ესპანეთის „ბარსელონა" კვლავ მწვრთნელ სერა ფერერას შემცვლელის ძიებაშია. უკანასკნელ დღეებში სულ უფრო ხშირად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ კატალონიური კლუბის მეპატრონეებმა განიზრახეს ამ პოსტზე მიიწვიონ ლონდონის მეთოფეთა გუნდის თავკაცი არსენ ვენგერი: „ბარსამ" მას 30 მილიონი დოლარის ხუთწლიანი კონტრაქტი შესთავაზა. თუ მხარეები შეთანხმდნენ, ვენგერი გახდება მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებიანი მწვრთნელი.

„ბარსასა" და „არსენალს" თავდამსხმელების გაცვლაც სურთ: ნიგერიელი წვანკვო კანუ ესპანეთში გაემგზავრება, ხოლო ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტი — ნისლიან ალბიონზე.

### კაპელო „მანიუზე" ოცნებობს

იტალიის „რომას" თავკაცმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ მას შემდეგ რაც „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს კონტრაქტის ვადა გაუვა, სიამოვნებით ჩაიბარებდა ინგლისური ფეხბურთის ფლაგმანს. „მანიუს" მეპატრონეები სიფრთხილით შეხვდნენ კაპელოს ნათქვამს. მათი უმთავრესი მოთხოვნაა — ფერგიუსონის შემცვლელი ინგლისურ ენას ფლობდეს.

### ვის ღაალგა თვალი ფოგთსმა?

გერმანიის ეროვნული ნაკრების ექს-მწვრთნელი ბერტი ფოგთსი განთქმულია თავისი პრინციპულობით. ამჟამად იგი ლევერკუზენის „ბაიერს" თავკაცობს და დიდი რეფორმების გატარებას გეგმავს. ბუნდესლიგის ჩემპიონატის ბოლო ტურში მისმა გუნდმა შინ სენსაციური მარცხი იწვნია ერთ-ერთ აუტსაიდერ „კოტბუსთან" 1-3. ამ ამბავმა ძალიან განარისხა მწვრთნელი და მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ორ ფეხბურთელს დაითხოვს გუნდიდან.

მართალია, ფოგთსს არ დაუკონკრეტებია შერისხული ფეხბურთელების ვინაობა, მაგრამ მიმომხილველთა აზრით, ესენი არიან ბრაზილიელები პაოლო რინკი და რობსონ პონტე. ფოგთსის თქმით, ამ ქვეყანაზე შეუცვლელი არავინაა: „ვისაც არ სურს მთელი ძალით გაიხარჯოს თამაშებში, გზა ხსნილი აქვთ".



## გერმანია
### ბუნდესლიგა. XXIII ტური

ლევერკუზენი – კოტბუსი 1-3
ფრაიბურგი – მიუნხენი 0-3
ბაიერნი – კიოლნი 1-1
ჰამბურგი – ვოლფსბურგი 3-2
შალკე – დორტმუნდი 0-0
აინტრახტი – ვერდერი 1-2
კაიზერი – ჰანზა 0-1
ბოხუმი– შტუტგარტი 0-0
ჰერტა – უნტერჰახინგი (გადაიდო)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 23 | 13 | 4 | 6 | 45-25 | 43 |
| შალკე | 23 | 12 | 5 | 6 | 43-25 | 41 |
| დორტმუნდი | 23 | 12 | 5 | 6 | 35-28 | 41 |
| ლევერკუზ. | 23 | 12 | 4 | 7 | 40-28 | 40 |
| ჰერტა | 22 | 12 | 1 | 9 | 44-39 | 37 |
| კაიზერი | 23 | 11 | 4 | 8 | 32-30 | 37 |
| ფრაიბურგი | 23 | 9 | 7 | 7 | 30-24 | 34 |
| ვერდერი | 23 | 9 | 7 | 7 | 32-32 | 34 |
| ვოლფსბურ. | 23 | 8 | 8 | 7 | 42-31 | 32 |
| მიუნხენი | 23 | 8 | 7 | 8 | 30-37 | 31 |
| კიოლნი | 23 | 8 | 6 | 9 | 40-37 | 30 |
| ჰანზა | 23 | 8 | 4 | 11 | 22-34 | 28 |
| აინტრახტი | 23 | 8 | 3 | 12 | 29-40 | 27 |
| ჰამბურგი | 23 | 8 | 2 | 13 | 29-39 | 26 |
| უნტერჰახ. | 22 | 6 | 6 | 10 | 21-35 | 24 |
| შტუტგარტი | 23 | 5 | 7 | 11 | 31-37 | 22 |
| ბოხუმი | 23 | 5 | 5 | 13 | 19-43 | 20 |

## უეფას თასი

UEFA CUP

### მეოთხედფინალი. 8-15 მარტი

ბარსელონა (ესპ.) – სელტა (ესპ.)
პორტუ (პორტ.) – ლივერპული (ინგ.)
ალავესი (ესპ.) – რაიო ვალ. (ესპ.)
კაიზერი (გერ.) – პსვ (ჰოლ.)

## ჩემპიონთა ლიგა
### II ეტაპი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-2 | 8 |
| ვალენსია | 4 | 1 | 3 | 0 | 3-1 | 6 |
| შტურმი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-5 | 6 |
| პანათინაიკ. | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 |

07.03 შტურმი – ვალენსია
07.03 პანათინაიკოსი – მანჩესტერი
13.03 მანჩესტერი – შტურმი
13.03 ვალენსია – პანათინაიკოსი

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| დეპორტივო | 4 | 2 | 0 | 2 | 5-3 | 6 |
| მილანი | 4 | 1 | 3 | 0 | 5-4 | 6 |
| პსჟ | 4 | 0 | 2 | 2 | 3-6 | 2 |

07.03 გალათასარაი – მილანი
07.03 დეპორტივო – პსჟ
13.03 პსჟ – გალათასარაი
13.03 მილანი – დეპორტივო

**C ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 7-2 | 10 |
| არსენალი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-7 | 5 |
| ლიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-3 | 4 |
| სპარტაკი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-8 | 3 |

06.03 ლიონი – ბაიერნი
06.03 არსენალი – სპარტაკი
14.03 ბაიერნი – არსენალი
14.03 სპარტაკი –ლიონი

**D ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-6 | 10 |
| ლიდსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-4 | 9 |
| ანდერლეხტი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-10 | 3 |
| ლაციო | 4 | 0 | 1 | 3 | 4-7 | 1 |

06.03 რეალი – ლიდსი
06.03 ლაციო – ანდერლეხტი
14.03 ლიდსი – ლაციო
14.03 ანდერლეხტი – რეალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

## ᲛᲣᲜᲓᲘᲐᲚᲘ–2002

### ᲨᲔᲡᲐᲠᲩᲔᲕᲘ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

### ᲐᲖᲘᲐ. IV ᲯᲒᲣᲤᲘ

24.02 ᲥᲣᲕᲔᲘᲗᲘ – ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘ 2-0
24.02 ᲑᲐᲰᲠᲔᲘᲜᲘ – ᲡᲘᲜᲒᲐᲞᲣᲠᲘ 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქუვეიტი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-2 | 13 |
| ბაჰრეინი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-4 | 12 |
| ყირგიზეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 2-8 | 3 |
| სინგაპური | 5 | 0 | 1 | 4 | 2-7 | 1 |

ბოლო ტურის მატჩები 27 თებერვალს გაიმართება. ერთმანეთს ხვდებიან: ყირგიზეთი — სინგაპური, ქუვეიტი — ბაჰრეინი.

### ᲐᲤᲠᲘᲙᲐ

**A ჯგუფი**

*ლიბია — ტოგო 3-3*
*კამერუნი — ზამბია 1-0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კამერუნი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-0 | 12 |
| ანგოლა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-5 | 6 |
| ზამბია | 3 | 1 | 0 | 2 | 3-3 | 3 |
| ტოგო | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| ლიბია | 3 | 0 | 1 | 2 | 4-9 | 1 |

**B ჯგუფი**

*ლიბერია — სიერა ლეონე 1-0*
*სუდანი — განა 1-0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერია | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| ნიგერია | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| სუდანი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 6 |
| განა | 3 | 1 | 0 | 2 | 6-4 | 3 |
| სიერა ლეონე | 3 | 0 | 0 | 3 | 0-3 | 0 |

**C ჯგუფი**

*ნამიბია — ეგვიპტე 1-1*
*მაროკო — სენეგალი 0-0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაროკო | 4 | 1 | 3 | 0 | 2-1 | 6 |
| ალჟირი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| სენეგალი | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| ეგვიპტე | 3 | 0 | 3 | 0 | 1-1 | 3 |
| ნამიბია | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |

**D ჯგუფი**

*ტუნისი — კონგოს დ.რ. 6-0*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტუნისი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| კოტ დ'ივ. | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| მადაგასკა. | 3 | 1 | 0 | 2 | 4-4 | 3 |
| კონგოს დ.რ. | 3 | 1 | 0 | 2 | 2-9 | 3 |
| კონგო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**E ჯგუფი**

*ბურკ.ფასო — ზიმბაბვე 1-2*
*მალავი — სამხ. აფრიკა 1-2*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამხ.აფრიკა | 3 | 3 | 0 | 0 | 5-1 | 9 |
| გვინეა | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| ზიმბაბვე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| მალავი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| ბურკ.ფასო | 4 | 0 | 1 | 3 | 4-7 | 1 |



*კამერუნი — ზამბია 1-0*

# ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ — ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ

## ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲓᲔᲑᲘᲣᲢᲘ?

28 თებერვალს საინტერესო ამხანაგური მატჩია — ინგლისი ესპანეთს უმასპინძლებს. ორი თვეა, რაც სვენ-გორან ერიქსონმა ალბიონელთა ნაკრები ჩაიბარა. ცხადია, ყველას აინტერესებდა, ვის გამოიძახებდა იგი სადებიუტო შეხვედრაში. და აი, შვედმა მწვრთნელმა შემადგენლობა გამოაცხადა:

***მეკარეები*** — დევიდ სიმენი (არსენალი), ნაიჯელ მარტინი (ლიდსი), დევიდ ჯემსი (ასტონ ვილა), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩი); ***მცველები*** — გარი და ფილიპ ნევილები, უეს ბრაუნი (ყველა — მანჩესტერ იუნაიტედი), რიო ფერდინანდი (ლიდსი), სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), მაიკლ ბოლი (ევერტონი), ჯიმი კერაგერი (ლივერპული), ეშლი კოული (არსენალი), უგო ეხიოგუ (ასტონ ვილა), კრის პაუელი (ჩარლტონი); ***ნახევარმცველები*** — კერონ დაიერი (ნიუკასლი), დევიდ ბექჰემი, პოლ სქოულზი, ნიკი ბატი (ყველა — მანჩესტერ იუნაიტედი), სტივ მაკმანამანი (რეალი), მაიკლ კარიკი, ჯო კოული, ფრენკ ლემპარდი (ყველა — ვესტ ჰემი), რეი პარლორი (არსენალი), გეივინ მაკენი (სანდერლენდი), ნიკ ბარმბი (ლივერპული); ***თავდამსხმელები*** — ემილ ჰესკი, მაიკლ ოუენი, რობი ფაულერი (ყველა — ლივერპული), ენდი კოული, ტედ შერინგემი (ორივე — მანჩესტერ იუნაიტედი), კევინ ფილიპსი (სანდერლენდი).

ნაკრების შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ ტრავმირებული სტივენ ჯერარდი (ლივერპული), მარტინ კეოუნი და გრემ ლე სო (ჩელსი), აგრეთვე ვეტერანი ტონი ადამსი (არსენალი), რომელმაც ასაკის გამო იუარა ქვეყნის პირველ გუნდში თამაში. ერიქსონის სათამაშო კონცეფციაში „ვერ ჩაჯდნენ“ ისეთი ოსტატები, როგორებიც არიან გარეტ ბარი (ასტონ ვილა), დენის უაიზი (ჩელსი) და პოლ ინსი (მიდლსბრო).

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ ინგლისელების წინააღმდეგ შემდეგ ფეხბურთელებს მოუყარა თავი:

***მეკარეები*** — იკერ კასილიასი (რეალი), სანტიაგო კანისარესი (ვალენსია); ***მცველები*** — აბელარდო, სერხი (ორივე — ბარსელონა), მანუელ პაბლო, ენრიკე რომერო (ორივე — დეპორტივო), ფერნანდო იერო (რეალი), უნაი ბერგარა (ვილიარეალი); ***ნახევარმცველები*** — ლუის ენრიკე, ხოსეპ გვარდიოლა (ორივე — ბარსელონა), ივან ელგერა (რეალი), გაისკა მენდიეტა, რუბენ ბარახა (ორივე — ვალენსია), ვიქტორი (დეპორტივო); ***თავდამსხმელები*** — ხავი მორენო (ალავესი), ხოსება ეჩებერია, ისმაილ ურსაისი (ორივე — ბილბაო), რაული (რეალი).



*ერიქსონი*

# ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

## ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲥᲐᲣᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲬᲐᲕᲐ ᲜᲔᲑᲘᲗ „ᲛᲘᲚᲐᲜᲘᲓᲐᲜ“?

გერმანიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელმა ოლივერ ბირჰოფმა გადაჭრით უარყო ხმები იმის თაობაზე, რომ იგი „მილანიდან“ ინგლისურ „ლიდს იუნაიტედში“ გადადის. „ეს ინფორმაცია არ შეეფერება სინამდვილეს. „მილანში“ ბედნიერად ვგრძნობ თავს და აქედან წასვლას არ ვაპირებ“ — თქვა გუშინ, „იუვენტუსთან“ მატჩის წინ ფორვარდმა.

თუ ბირჰოფი თავის მომავალს კვლავ როსონიერთა გუნდს უკავშირებს, ამას ვერ ვიტყვით გუნდის მთავარ მწვრთნელ ალბერტო ძაკერონიზე, უდავოა, რომ იგი სეზონის ბოლოს დატოვებს კოლექტივს. ძაკერონის შემცვლელად კვლავ ასახელებენ „ფიორენტინას“ თავკაცს, თურქ ფატიხ თერიმს, რომელმაც შარშან „გალათასარაის“ უეფას თასი მოაპოვებინა. რაც შეეხება თავად ძაკერონის, იტყობინებიან, რომ მასთან მოლაპარაკებას აწარმოებს „მანჩესტერ იუნაიტედი“.

## ᲤᲠᲐᲜᲩᲔᲡᲙᲝ ᲢᲝᲢᲘ ᲣᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝᲐ

**ფრანჩესკო ტოტი, რომელსაც ძალიან ანებივრებდა როგორც იტალიის ნაკრების, ისე „რომას“ ხელმძღვანელობა, ახლა უკმაყოფილოა იმით, რომ მის კლუბში „აქცენტს“ გაბრიელ ბატისტუტაზე იღებენ. ტოტის ამ ნიადაგზე უსიამოვნება მოუვიდა „რომას“ პრეზიდენტ ფრანკო სენსისთან და იმუქრება კიდეც, რომ კლუბს დატოვებს.**

## ᲕᲔᲜᲒᲔᲠᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲗᲣ...

...ევროკავშირი ფიფასა და უეფას თავს მოახვევს სატრანსფერო სისტემის რეფორმის საკუთარ მოდელს. ამ სქემის თანახმად მოთამაშეს საკუთარი ინციატივით შეეძლება კლუბის ყოველ სამ თვეში ერთხელ დატოვება.

— თუკი მოთამაშეს ასე იოლად შეეძლება კლუბის დატოვება, მაშ რაღა აზრი აქვს ჩემს მუშაობას. სრულყოფილი, ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნა ხომ საერთოდ შეუძლებელი იქნება.

ვენგერი აცხადებს, რომ თუ ევროკავშირის თვალსაზრისმა გაიმარჯვა, იგი „არსენალში“ იმუშავებს კონტრაქტის ბოლომდე (2002 წლის ზაფხულამდე), შემდეგ კი, სამუდამოდ დატოვებს ფეხბურთს.

ამ დღეებში ფიფამ და უეფამ უარჰყვს ევროკავშირის წინადადება, მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება.

## ᲘᲕᲐᲜ ᲡᲐᲛᲝᲠᲐᲜᲝ ᲨᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲔᲮᲕᲘᲐ

**მექსიკურ კლუბ „ამერიკის“ ფეხბურთელმა ივან სამორანომ ჩინებული თამაშით ამ ქვეყანაში დიდი პოპულარობა მოიპოვა, მაგრამ ახლა შარში გაეხვია. მას „ურაპუატოსთან“ მატჩში (სადაც ორი გოლი გაიტანა) ბრალად ედება დიდი აყალმაყალის ატეხვა. თუ ეს დაუმტკიცეს, მკაცრი სასჯელი ელის.**

## ᲪᲝᲢᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ, ᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲐ

„გრემიოსა“ და „პარი სენ-ჟერმენს“ შორის, ცოტა არ იყოს, რთული ხელშეკრულება გაფორმდა. მარტიდან ცნობილი თავდამსხმელი რონალდინიო გაუშო პარიზული კლუბის საკუთრება კი გახდება, მაგრამ სეზონის ბოლომდე იქ არ უნდა ითამაშოს, არამედ იჯარის პირობებით ინგლისის ან შვეიცარიის რომელიმე კლუბში გამოვიდეს.

## ᲣᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲔᲚᲘᲗ

**როგორც გამომძიებელმა ნიკოლას კემპბელმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განუცხადა, იგი „ლიდს იუნაიტედის“ სამი ფეხბურთელის: ლი ბოიერის, ჯონათან ვუდგეიტისა და ტონი ჰოკუორტის საქმეს იძიებს. როგორც კემპბელი ამბობს, ეს სამი ფეხბურთელი თავს დაესხა სტუდენტ შარფაზ ნაჯიბს და მას სხეული დაუზიანა.**

**მალე ამ სამ დამნაშავე ფეხბურთელს სასამართლო მოუსმენს. თუკი ჟიური „ლიდსის“ ფეხბურთელებს გაამტყუნებს, მაშინ მათ მკაცრი სასჯელი ელით. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ უკვე გამოიყვანა ბოიერი, ვუდგეიტი და ჰოკუორტი ეროვნული ნაკრებიდან, თუმცა მათ ჯერჯერობით ინგლისის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლება აქვთ, ისევე, როგორც კიდევ ერთ ფეხბურთელ მაიკლ დიუბერის, რომელიც სასამართლოში მოწმედ გამოდის.**

## ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ – ᲛᲔᲝᲠᲔ?

„ლივერპულის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ გამოთქვა სურვილი „ლიდს იუნაიტედის“ ორი ფეხბურთელის: მეკარე ნაიჯელ მარტინისა (ინგლისის ნაკრების წევრი) და მცველ დენი მილზის შეძენის შესახებ. „ლიდსის“ გამგეობის თავმჯდომარემ პიტერ რიდსდაილმა ამას დაუყოვნებლივ უარით უპასუხა.

ულიეს წინადადება, ცხადია, მთლად დაუსაბუთებელი არა ყოფილა. 34 წლის მარტინი დაშავდა და რამდენიმე თვე მკურნალობას მოუნდა. ამასობაში „ლიდსის“ კარში ჩადგა ახალგაზრდა პოლ რობინსონი, რომელმაც ბრწყინვალედ ითამაშა და ინგლისის ნაკრების კანდიდატიც გახდა. როცა მარტინი გამოჯანმრთელდა და დაბრუნდა, „ლიდს იუნაიტედის“ მწვრთნელი დევიდ ო'ლირი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა, ვისთვის მიენიჭებინა უპირატესობა, მარტინისა თუ ახალგაზრდა მეკარისათვის. „ძალიან ძნელი ამოცანაა. ორივე მეკარე პირველობის ღირსია“ — განაცხადა მან. აი, ამ მომენტში გამოიჩინა ინიციატივა „ლივერპულმა“, რომლის მწვრთნელი ფრანგი ჟერარ ულიე უკმაყოფილოა ჰოლანდიელ მეკარე სანდერ ვესტერველდით. „ლივერპულმა“ „ლიდსს“ 5 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა.

მართალია, „ლიდსის“ გამგეობის თავმჯდომარემ პიტერ რიდსდაილმა განაცხადა, რომ მისი კლუბი „ძირითად მოთამაშეებს არა ჰყიდის, მაგრამ „ლივერპული“ მაინც არა ჰკარგავს იმედს. მას მარტინიც აინტერესებს და მილზიც.

## ᲕᲘᲜ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲛᲡ?

**თურქი ფატიხ ტერიმი „ფიორენტინასთან“ გამოთხოვების საკითხი სავსებით გადაწყვეტილად ითვლება. ეს ჩემპიონატის დამთავრებისთანავე მოხდება. შემცვლელად ასახელებენ არგენტინელ დანიელ პასარელას, რომელიც ვერ შეეწყო ურუგვაის ნაკრებს, ამჟამად უმუშევარ ჯანლუკა ვიალისა და ინგლისიდან დაბრუნებულ რობერტ მანჩინის.**

## „ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲛᲐ“ ᲗᲐᲡᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ

**„ლივერპული“** გუშინ მეექვსედ დაეუფლა ინგლისის ლიგის თასს, რომელმაც ფინალში პენალტების სერიით დაამარცხა „ბირმინგემი“. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 1-1: ჯერ ლივერპულელმა ფაულერმა 30-ე წუთზე გახსნა ანგარიში, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ დროში ბირმინგემელმა პერსმა პენალტით გაქვითა.

## ᲯᲝᲕᲐᲜᲔ ᲔᲚᲑᲔᲠᲘ: ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ

ჟურნალისტებმა რამდენიმე კითხვით მიმართეს მიუნხენის „ბაიერნში“ მოთამაშე ბრაზილიელ ოსტატ ჯოვანე ელბერს.

● ***ევროპაში ახლა ბევრი ბრაზილიელი თამაშობს. ვის გამოყოფდით მათ შორის?***

— რივალდოს „ბარსელონადან“ და რობერტო კარლოსს „რეალიდან“. ისინი სუპერკლუბში გამოდიან და თამაშის საკუთარი სტილი აქვთ.

● ***თქვენ?***

— არა, მე ჯერჯერობით არა მაქვს. იმედია, მალე გამოვიმუშავებ.

● ***როგორია თქვენი დამოკიდებულება ფეხბურთელების დასავლეთ ევროპაში გადაბარგებაზე?***

— ფეხბურთელების მისწრაფებას, ითამაშონ ევროპულ კლუბებში, სრულიად ლოგიკურ, დადებით მოვლენად ვთვლი. სხვა მენტალიტეტს ეცნობი, ენას სწავლობ, საფეხბურთო თვალსაზრისითაც ახალს იძენ.

● ***ვისთან თამაშობთ ყველაზე უკეთ? ციკლერთან, სანტა კრუსსა თუ იანკერთან?***

— ვერ ვიტყვი, ვისთან უფრო უკეთ გამომდის თამაში. წინასწარ არასოდეს იცი, ვისთან ერთად გამოდიხარ. ეს იცის მხოლოდ მწვრთნელმა. ისე კი, სამივესთან კარგად ვარ შეწყობილი.

● ***„ვოლფსბურგთან“ რომ გოლი გაიტანეთ, ადექით და გვერდით ალამს აკოცეთ. რა იყო ეს, რაიმე რიტუალი?***

— არა, უბრალოდ, ვიხუმრე. ეს ავტომატურად ხდება ხოლმე.

● ***კმაყოფილი ხართ ახლანდელი მზადყოფნით?***



— დიახ, მესმის, რომ ყოველთვის უნდა შევეცადო კიდევ უკეთესად ვითამაშო.

● ***რას მიირთმევთ საუზმისას?***

— ნამცხვარს, ყავასა და კვერცხს.

● ***რომელი ქვეყნის ჩემპიონატებს ადევნებთ თვალყურს?***

— ინგლისისა და ესპანეთის პირველობებს.

● ***ფეხბურთი კვლავინდებურად განიჭებთ სიხარულს, თქვენს პროფესიად თვლით?***

— ფეხბურთი არ არის ჩემი პროფესია, იგი უფრო ჩემი ჰობია. კარგია, როცა ჰობიც ფულს მაძლევს.

● ***რა მარკის მანქანები გყავთ?***

— ოპელი „საფირა“ და ჯიპი „ჩაროკი“.



# William HILL

***მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები***

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბელგია — სამორანო | 28.02 | 23.15 | 1,02 | 8,50 | 34,00 |
| პორტუგალია — ანდორა | 28.02 | 01.00 | 1,02 | 8,50 | 34,00 |

***ამხანაგური მატჩები***

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი — გერმანია | 27.02 | 23.45 | 1,72 | 3,20 | 4,33 |
| სლოვენია — ურუგვაი | 28.02 | 18.00 | 2,30 | 3,10 | 2,75 |
| საბერძნეთი — რუსეთი | 28.02 | 20,00 | 2,30 | 3,10 | 2,75 |
| ბოსნია — ურუგვაი | 28.02 | 20.30 | 2,50 | 3,10 | 2,50 |
| ხორვატია — ავსტრია | 28,02 | 21.00 | 1,50 | 3,60 | 5,50 |
| შვეიცარია — პოლონეთი | 28,02 | 21.00 | 2,62 | 3,10 | 2,37 |
| ლიხტენშტეინი — ლატვია | 28,02 | 22.00 | 8,00 | 4,50 | 1,28 |
| ლუქსემბურგი — ფინეთი | 28,02 | 23.00 | 8,00 | 3,75 | 1,36 |
| ჰოლანდია — თურქეთი | 28,02 | 23,30 | 1,53 | 3,60 | 5,00 |
| მალტა — შვედეთი | 28,02 | 23,30 | 12,00 | 5,50 | 1,16 |
| ირლანდია — დანია | 28.02 | 23,30 | 1,90 | 3,10 | 3,60 |
| იტალია — არგენტინა | 28,02 | 23.45 | 2,20 | 2,87 | 3,10 |
| ინგლისი — ესპანეთი | 28.02 | 24.00 | 2,25 | 3,10 | 2,80 |
| ჩრდ. ირლანდია — ნორვეგია | 28.02 | 24.00 | 3,75 | 3,00 | 1,90 |

***ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ I ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ***

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტრანმერი — ჰადერსფილდი | 27.02 | 23.45 | 2,00 | 3,20 | 3,20 |

***ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ***

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარნმუტი — ბრისტოლი | 27.02 | 23.45 | 1,72 | 3,25 | 4,33 |
| ნორტჰემპტონი — სუონსი | 27.02 | 23.45 | 1,50 | 3,75 | 5,50 |
| როტერჰემი — კოლჩესტერი | 27.02 | 23.45 | 1,50 | 3,50 | 6,00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა

## ფორმულა-1

### ჰაკინენს მონადირის როლი მოსწონს



როგორც ცნობილია, 4 მარტს ავსტრალიის „გრან-პრის" გათამაშებით დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი „ფორმულა-1"-ში. პლანეტის რჩეული პილოტები უკვე ჩავიდნენ „მწვანე კონტინენტზე" და აკლიმატიზაციის პროცესს გადიან. ორგზის მსოფლიო ჩემპიონმა, ფინელმა მიკა ჰაკინენმა ჟურნალისტებს გაუზიარა თავისი მოსაზრებები დამდეგი სეზონისა და მის მთავარ მეტოქეზე გერმანელ მიხაელ შუმახერზე: „გერმანელ მრბოლთან პაექრობამ შემძინა დიდი გამოცდილება. იგი უმაღლესი კლასის პილოტია და მაღალ პროფესიონალურ დონეზე აქვს დაყენებული საქმე. შუმახერი ყოველთვის გამარჯვებისათვის იბრძვის, ამიტომ მისი ძლევა ძალიან გამიჭირდება. და მაინც, მე ჩემსას ვეცდები. ამ სეზონში მონადირესავით მოვიქცევი და დავამარცხებ ყველას, ვინც ჩემზე ხელს აღმართავს".

*სურათზე: ჰაკინენი*



*მარკ ფილიპუსი*

## სანგინეტი კი გაუძალიანდა, მაგრამ ფილიპუსისმა მაინც იძალა

ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა ვაჟმა მარკ ფილიპუსისმა მოიგო მემფისის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 800 ათასი დოლარია.

ფინალში ავსტრალიელ ჩოგანს დიდი ბრძოლა ელოდა ვეტერან იტალიელ დავიდ სანგინეტისთან. ფილიპუსისმა ტაი-ბრეიკზე დათმო მეორე სეტი, მაგრამ ორ სხვა პარტიაში მისი უპირატესობა თვალსაჩინო იყო — 6:3, 6:7 (5:7), 6:3.



*აგასი*

**ჩოგბურთი**

## უძლიერესი კვლავ აგასია

გამოქვეყნდა უძლიერეს ვაჟ ჩოგბურთელთა მორიგი რეიტინგ-ლისტი ATP Championship Race. ამ სიას კვლავ ამერიკელი ანდრე აგასი უდგას სათავეში 1. ანდრე აგასი (აშშ) — 200 ქულა; 2. არნო კლემანი (საფრანგეთი) — 154; 3. სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — 135; 4. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 117; 5. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) — 108; 6. დომინიკ ხრბატი (სლოვაკეთი) — 91; 7. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 90; 8. ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი) — 85; 9. ნიკოლა ესკიუდე (საფრანგეთი) — 83; 10. ანდრეას ვინჩიგერა (შვედეთი).

## ნბა: შაკმა ორის მაგივრად იმუშავა და „ლეიკერსს" მოაგებინა

ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ბოლო მატჩების გმირი კვლავ დაუღალავი შაკილ ო,ნილი გამოდგა. „ლეიკერსის" ბომბარდირმა უცვლელი პარტნიორის, ტრავმამორეული კობი ბრაიანტის არყოფნაში, ქულათა ორმაგი ნორმა შეასრულა — 37. გუშინდელი მატჩები ასე დასრულდა: ლეიკერსი — ორლანდო 106:100, ინდიანა — მინესოტა 110:100, ფინიკსი — იუტა 90:80, ნიუ-იორკი — საკრამენტო 88:86, მილუოკი — გოლდენ სტეიტი 122:95, დეტროიტი — კლივლენდი 94:102, ნიუ-ჯერსი — ვაშინგტონი 101:91.



### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | თ. | მ. | % |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ფილადელფია | 42 | 15 | 73,7 |
| მაიამი | 33 | 23 | 58,9 |
| ნიუ-იორკი | 32 | 23 | 58,2 |
| ორლანდო | 28 | 26 | 51,9 |
| ბოსტონი | 24 | 32 | 42,9 |
| ნიუ-ჯერსი | 20 | 38 | 34,5 |
| ვაშინგტონი | 13 | 44 | 22,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 34 | 20 | 63,0 |
| შარლოტი | 30 | 26 | 53,6 |
| ტორონტო | 29 | 27 | 51,8 |
| ინდიანა | 25 | 28 | 47,2 |
| კლივლენდი | 22 | 32 | 40,7 |
| დეტროიტი | 21 | 35 | 37,5 |
| ატლანტა | 18 | 38 | 32,1 |
| ჩიკაგო | 9 | 45 | 16,7 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუადასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 37 | 17 | 68,5 |
| სან-ანტონიო | 37 | 18 | 60,7 |
| დალასი | 34 | 22 | 60,7 |
| მინესოტა | 33 | 24 | 57,9 |
| ჰიუსტონი | 30 | 26 | 53,6 |
| დენვერი | 29 | 28 | 50,9 |
| ვანკუვერი | 18 | 39 | 31,6 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 38 | 18 | 67,9 |
| საკრამენტო | 37 | 18 | 67,3 |
| ლეიკერსი | 36 | 18 | 66,7 |
| ფინიკსი | 34 | 21 | 61,8 |
| სიეტლი | 29 | 27 | 51,8 |
| კლიპერსი | 20 | 38 | 34,5 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 41 | 26,8 |

## რუმინეთი თბილისისთვის პირველი გვერდიდან ემზადება

გაემგზავრა, სადაც მონაწილეობს ოთხი ქვეყნის ეროვნული გუნდების საერთაშორისო ტურნირში.

**გუშინ** ტურნირის პირველ დღეს, ერთმანეთს შეხვდნენ რუმინეთისა და უკრაინის, კვიპროსისა და ლიტვის ნაკრები გუნდები. რუმინეთ-უკრაინის შეხვედრის ძირითადი დრო 0-0 დამთავრდა. დამატებით დროში „ოქროს გოლის" წესით (ჩიბოტარუ, 97 წთ.) გამარჯვება რუმინელებმა მოიპოვეს. მეორე წყვილში ანგარიში კვიპროსელმა გისამალიკსმა გახსნა (29 წთ.). მატჩის მიწურულს, დანილიავიჩუსის ორი გოლის წყალობით (82, 88), ფინალში ლიტველები გავიდნენ.

ასე რომ, ფინალში ერთმანეთს ჩვენი მეტოქეები ხვდებიან.

## ბობსლეი

### გერმანელთა უპირატესობით

ამერიკის ქალაქ პარკ-სიტის მიდამოებში მსოფლიო თასის ეტაპი მოიგეს გერმანელმა ბობსლეისტებმა. ოთხეულთა ასპარეზობაში ანდრე ლანგეს და მისი თანაგუნდელების — ლარს ბერენდტის, რენე ხოპის და კარსტენ ემბახის უპირატესობა თვალსაჩინო იყო. ვერცხლის მედლები დაისაკუთრეს შვეიცარიელებმა, ბრინჯაოსი — გერმანელთა მეორე გუნდმა. საერთო ჩათვლაშიც გერმანელი ლანგე ლიდერობს (296 ქულა). მეორე ადგილზეც გერმანელია — ბენეში (192). ლატვიელი პრუსისი (172) მესამეა.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები





**27 თებერვალი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10,25), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (11.40, 19.30), კიკბოქსინგი. საერთაშორისო მატჩი (17.30), „ბილიარდის მეფეები" (20.30, 1.15), ***ESPN.*** ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (06.00), იტალიის (12.00), ინგლისის (14.30, 01.00), ჩემპიონთა ლიგა. „ლაციო" – „რეალი" (22.30) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***EUROSPORT.*** ციგაობა. მსოფლიო თასი (11.30), ფეხბურთი. ევროგოლი (15.00), ***НТВ плюс футбол.*** მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (13.15, 14.50), გერმანიის (18.00), ჩემპიონთა ლიგის (21.00), ესპანეთის (23.10) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**28 თებერვალი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია, ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), რუსეთის I. ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი საბერძნეთი – რუსეთი (23.00), ***ТЦ.*** მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის ფინალი (22.15), ***НТВ плюс спорт.*** „ბილიარდის მეფეები" (12.00), აკრობატიკა. მსოფლიო ჩემპიონატი (18.15), კალათბურთი: სუპერლიგა (20.55), ევროლიგა (23.30), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (14.00, 22.00), ჩემპიონთა ლიგა (19.00), ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები (12.30, 16.30, 21.00, ევროპის თასები), ***НТВ плюс футбол.*** ესპანეთის (14.55), ჩემპიონთა ლიგის (15.40), მინიფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის (20.20), იტალიის (22.50), გერმანიის (0.00) ჩემპიონატები და მიმოხილვა.

**1 მარტი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. II არხი.*** ავტოსპორტი (21.10), ***რუსთავი-2.*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (19.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.45), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი: სუპერლიგა. ვაჟები (12.10), ევროლიგა (15.10, 23.25), ნბა (20.45, 2.00), ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.00), ***EUROSPORT.*** სპორტის ზამთრის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 15.00, 18.00), ფეხბურთი. მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მზადებაში (0.00). ***НТВ плюс футбол.*** მინიფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (13.15, 14.50), იტალიის (16.50), ესპანეთის (0.05) ჩემპიონატების მიმოხილვა.

## უკანასკნელ საათს...

● ***გუშინ*** თანამდებობიდან გადადგა იტალიის „ფიორენტინას" თურქი მწვრთნელი ფათიხ თერიმი. იტყობინებიან, რომ მის ადგილს დაიკავებს რობერტო მანჩინი, რომელიც ახლო წარსულში მუშაობდა სვენ-გორან ერიქსონის ასისტენტად „ლაციოში".

● ***მინიფეხბურთში*** ევროპის ჩემპიონატის მეორე ნახევარფინალურ მატჩში უკრაინის ნაკრებმა მძიმე ბრძოლაში სძლია იტალიის გუნდს და გავიდა ფინალში, სადაც უკვე ესპანეთის ნაკრებს შეხვდება.

# გიორგი ყაჭეიშვილის პირველი პრიზი

პარიზის საერთაშორისო ტურნირის 96 მონაწილეთაგან არაერთი ცნობილი დიდოსტატი და საერთაშორისო კლასის ოსტატი იყო, მათ შორის ქართველი მოჭადრაკეები გიორგი ყაჭეიშვილი, ბადურ ჯობავა და ვალერი გაფრინდაშვილი. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ჩატარდა, 9 ტურად.

მთელი ტურნირი შესანიშნავად წარმართა გიორგი ყაჭეიშვილმა და ბრწყინვალე შედეგით — 8 ქულით დაიკავა პირველი ადგილი. ჯობავამ 7 ქულა მოაგროვა და მესამე პრიზი მოიპოვა, გაფრინდაშვილმა კი 6 ქულით დაასრულა შეჯიბრება (მეთოთხმეტე ადგილი).

# სამი საგზურისათვის

**საქართველოს ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატში მონაწილეთა ერთი ჯგუფი პერსონალურადაა მიწვეული, სხვებმა კი საამისოდ საგზურები უნდა მოიპოვონ. სამი ასეთი საგზური განაწილდა სპეციალურ შესარჩევ ტურნირში, რომელშიც 67 მოჭადრაკე იბრძოდა შვეიცარიული სისტემით ტურნირში ცხრა ტურად.**

**7-7 ქულით პირველი სამი ადგილი გაიყვეს ფრიდონ ყალაგაშვილმა (რუსთავი), თბილისელებმა ვახტანგ ჩიქოვანმა და აკაკი შარაშენიძემ.**

# მატჩი – ანატოლი კარპოვი... მარია კუვაცუ

საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა. იგი ლინარესის საერთაშორისო ტურნირის დამთავრების შემდეგ აპირებს საბერძნეთში ჩასვლას, სადაც კუნძულ კრეტას ქალაქ რეტიმნონში ამხანაგურ მატჩში შეხვდება საერთაშორისო ოსტატ მარია კუვაცუს, რომელიც 1999 წელს მსოფლიო ჩემპიონი იყო 20 წლამდე ქალიშვილებს შორის.

# შიროვი – აგდესტეინი 2,5:1,5

**ბერგენში (ნორვეგია) გაიმართა ამხანაგური მატჩი სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს მოჭადრაკე ალექსეი შიროვსა (ესპანეთი) და ნორვეგიელ დიდოსტატ სიმენ აგდესტეინს შორის. სხვათა შორის, აგდესტეინი იმითაც არის ცნობილი, რომ თამაშობდა ნორვეგიის ფეხბურთელთა ნაკრებში!**

**უნდა ითქვას, რომ შიროვს, მოლოდინის მიუხედავად, ძალიან გაუჭირდა. მან წააგო პირველი პარტია, დიდი გაჭირვებით დაამთავრა მეორე ყაიმით. ბოლოს, გასაგებია, კლასმა მაინც გაჭრა: შიროვმა მოიგო მესამე და მეოთხე შეხვედრები და ამასთან ერთად მატჩიც ანგარიშით 2,5:1,5.**

## მეგად მშვიდობიანად დაიწყო...

...ლინარესის სუპერტურნირი, სადაც პირველ ორ ტურში ყველა, ექვსივე პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, გარი კასპაროვს, ანატოლი კარპოვს, ალექსანდრ გრიშჩუკს (სამივე — რუსეთი), იუდით პოლგარს, პეტერ ლეკოს — (ორივე — უნგრეთი) და ალექსეი შიროვს (ესპანეთი) ახლა თითო ქულა აქვთ.

# პინგისი კვლავ პირველია



კვირას დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საემიროები) დამთავრდა ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში.

ფინალურ მატჩში მსოფლიოს N. 1-მა ჩოგბურთელმა, შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა (სურათზე) ანგარიშით 6:4, 6:4 სძლია ფრანგ ნატალი ტოზიას.

## უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა ინდივიდუალური რეიტინგი დღეისათვის

1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 6134 ქულა. 2. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 4892. 3. ვენუს უილიამსი (აშშ) — 4207. 4. მონიკა სელეში (აშშ) — 3521. 5. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 2404. 6. ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — 2274. 7. მარი პირსი (საფრანგეთი) — 2127. 8. ანა კურნიკოვა (რუსეთი) — 2087. 9. სერენა უილიამსი (აშშ) — 1957. 10. ამანდა კეცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) — 1880. 11. ელენა დემენტიევა (რუსეთი) — 1849. 12. ამელი მორესმო (საფრანგეთი) — 1743. 13. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — 1692. 14. არანტა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) — 1679. 15. ანკე ჰუბერი (გერმანია) — 1626. 16. მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — 1528. 17. ჩანდა რუბინი (აშშ) — 1525. 18. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — 1485. 19. ემი ფრეზერი (აშშ) — 1337. 20. კიმ კლიისტერსი (ბელგია) — 1325. 21. ჟასტინ ჰენინი (ბელგია) — 1227. 22. ბარბარა შეტი (ავსტრია) — 1202. 23. ნატალი დეში (საფრანგეთი) — 1054. 24. ელენა დოკიჩი (ავსტრალია) — 1026. 25. ლაიზა რეიმონდი (აშშ) — 996. 26. მენონ შონესი (აშშ) — 965. 27. ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — 963. 28. ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) — 958. 29. პაოლა სუარესი (არგენტინა) — 948. 30. მაგი სერნა (ესპანეთი) — 904 ქულა და ა.შ.

## სხვათა შორის... ესეც შენი გაევროპელებული თურქები!

**მსოფლიო შოკშია ნანაელი ბიჭუნების უმოწყალო ჩხუბისაგან, ახლა ამას თურქი გოგონების კრივიც დაემატა. გასულ კვირას, ქალმოკრივეთა ტურნირის ორგანიზატორებმა მაყურებელს დამატებით შესთავაზეს 4-5 წლის ბავშვების ორთაბრძოლებიც. მოპაექრეებს ეცვათ სპეციალური ჩაფხუტები, ისინი ისეთი გამეტებით ურტყამდნენ ერთმანეთს, მაყურებელთა დიდმა ნაწილმა ამ სანახაობას ვერ გაუძლო და კატეგორიულად მოითხოვა შეეწყვიტათ ეს კოშმარი.**

**მეორე დღეს თურქულ პრესაში გაჩნდა სკანდალური მასალები, რომლებშიც მიწასთან გაასწორეს ამ სანახაობის ორგანიზატორები. ჟურნალისტებს მხარი აუბეს ექიმებმაც, რომელთა დასკვნით გოგონების კრივი მეტად სახიფათოა ჯანმრთელობისთვის. ახლა ტურნირის ორგანიზატორთა რეაქციას არ იკითხავთ? ჯერ ერთი, მათ დააწყნარეს საზოგადოება — არც ერთი მოპაექრე გოგონა თურქი არ იყო, და, რაც მთავარია, ეს უფრო სპექტაკლი იყოო...**

# ტოტო ლოტო № 07 ტირაჟის შედეგები 24-25.02.2001

### ლოტო 6-42

**4 16 19 24 37 41**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 | x | 4208.10 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 5 რიცხვი | 0 | x | 196.50 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 4 რიცხვი | 12 | x | 10.80 ლარი | |
| 3 რიცხვი | 133 | x | 1.70 ლარი | |

### სუპერ 7

**2 2 4 7 4 8 6**

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 2 4 7 4 8 6 | 50,000 ლარი | 4 8 6 | 50 ლარი |
| 2 4 7 4 8 6 | 15,000 ლარი | 8 6 | 3 ლარი |
| 4 7 4 8 6 | 5,000 ლარი | 6 | 0.50 ლარი |
| 7 4 8 6 | 500 ლარი | | |

### ტოტო ფეხბურთი — 12 მატჩი

**1 1 X 2 1 1 X 1 2 1 X 1**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 | x | 13946.00 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 11 შედეგი | 8 | x | 102.80 ლარი | |
| 10 შედეგი | 56 | x | 4.60 ლარი | |

08 ტირაჟის პროგრამა (3-4. 03. 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | ინგ. | ქოვენთრი – ჩელსი | 20-20-60 |
| 2. | ინგ. | ლესტერი – ლივერპული | 30-40-30 |
| 3. | ინგ. | დერბი – ტოტენჰემი | 40-40-20 |
| 4. | იტა. | ბრეშა – ლაციო | 20-20-60 |
| 5. | იტა. | უდინეზე – იუვენტუსი | 20-40-40 |
| 6. | იტა. | ბარი – ფიორენტინა | 20-40-40 |
| 7. | გერ. | კანზა – ბაიერნი | 20-20-60 |
| 8. | გერ. | კოტბუსი – კაიზერი | 30-30-40 |
| 9. | გერ. | მიუნხენ 1860 – ლევერკუზენი | 30-30-40 |
| 10. | ესპ. | მალიორკა – დეპორტივო | 40-30-30 |
| 11. | ესპ. | სარაგოსა – ვალენსია | 20-40-40 |
| 12. | ესპ. | ოსასუნა – ვალიადოლიდი | 30-40-30 |

### ტოტო ფეხბურთი — 11 მატჩი

**X X 2 2 1 2 2 X X 1 X**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 | x | 122.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 10 შედეგი | 0 | x | 25.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |
| 9 შედეგი | 0 | x | 25.90 ლარი | გადავიდა შემდეგ ტირაჟში |

08 ტირაჟის პროგრამა (3-4. 03. 2001)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | გერ. I | კანზა – ბაიერნი | 20-20-60 |
| 2. | გერ. I | კიოლნი – ჰერტა | 40-30-30 |
| 3. | გერ. I | ვერდერი – ფრაიბურგი | 40-30-30 |
| 4. | გერ. I | შტუტგარტი – ვოლფსბურგი | 30-40-30 |
| 5. | გერ. I | კოტბუსი – კაიზერი | 30-30-40 |
| 6. | გერ. I | უნტერჰახინგი – ბოხუმი | 40-40-20 |
| 7. | გერ. I | მიუნხენ 1860 – ლევერკუზენი | 30-30-40 |
| 8. | გერ. I | შალკე – ჰამბურგი | 50-30-20 |
| 9. | გერ. II | ნიურნბერგი – არმინია | 60-30-10 |
| 10. | გერ. II | როიტლინგენი – ჰანოვერი | 50-20-20 |
| 11. | გერ. II | ალენი – დუისბურგი | 40-30-30 |

### სპორტული ლოტო № 07 ტირაჟის შედეგები 25.02.2001

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| | 9 | 16 | 23 | 2 | 24 | 5 | 10 | 8 | 21 | 13 |
| | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| | 17 | 20 | 18 | 15 | 4 | 6 | 7 | 12 | 22 | 11 |
| | | 10,000 | 1,000 | 100 | 50 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 |
| | 1 | 3 | 14 | 19 | | | | | | |

სოსიკო ელიზბარაშვილი, ბონდო ბადალაშვილი (ორივე თბილისი)

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს ივანე ბოჭორიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაუგრძნობს სპორტის დვაწლმოსილ მუშაკს ივანე ბოჭორიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს პროფკავშირული სპორტსაზოგადოება „შევარდენი" ღრმა სამძიმარს უცხადებს საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების ყოფილ უფროსს ივანე ბოჭორიძეს მეუღლის, ამავე სპორტსაზოგადოების ბავშვთა და მოზარდთა ჭადრაკის სპორტული სკოლის დირექტორს თამაზ ბოჭორიძეს დედის გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 27-28 თებერვალს 16 საათზე, გამოსვენება 1 მარტს 14 საათზე. მისამართი: გალის ქ №1.

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი და პრეზიდიუმის შემადგენლობა თანაგრძნობას უცხადებს ამავე პრეზიდიუმის წევრს ივანე ბოჭორიძეს მეუღლის

ელენე ბოჭორიძის

გარდაცვალების გამო.

სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივი" თანაგრძნობას უცხადებს ივანე ბოჭორიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის ვეტერანთა საბჭო თანაგრძნობას უცხადებს ივანე ბოჭორიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს ივანე ბოჭორიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს ცხენოსნობისა და თანამედროვე ხუთჭიდის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ამავე ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს დავით სალარიძეს მამის გარდაცვალების გამო.



## კროსვორდი №16

**თარაზულად:** 5. XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე, 7. წარსულში ცნობილი ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 8. წარსულში თბილისის „დინამოს" კალათბურთელი, 11. ნბა-ს ვარსკვლავი, 12. ცრუ მოძრაობა სპორტულ თამაშებში, 13. კანადელი მორბენალი ვაჟი, 16. ხარებთან ბრძოლა ანუ..., 17. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 21. ავტოდრომი იტალიაში, 22. ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი, 23. სატანვარჯიშო იარაღი, 26. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 27. მალამო, რომელსაც ხმარობენ სპორტსმენები ტრავმების დროს, 28. შვეიცარიელი ჩოგბურთელი ქალი.

**შვეულად:** 1. სპორტული ნავის ნაწილი, 2. ცურვის ყაიდა, 3. სპორტის სახეობა, 4. წარსულში რუსი სიმაღლეზე მხტომელი ვაჟი, 6. იუგოსლავიის საკალათბურთო გუნდი, 9. ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი, 10. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 14. მძლეოსნობის იარაღი. 15. ორმაგი წარმატება, 18. წარსულში გერმანელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 19. ფრანგი ფეხბურთელი, ფორვარდი. 20. ბასკი ფეხბურთელი, 24. წარსულში ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი, მცველი, 25. ქვეყანა, რომელიც განთქმულია მორბენლებით.

## №15 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. „ფორმულა", 6. ყოფიანი, 8. ეშერა, 10. სტამი, 11. „მარკა", 14. ანძა, 16. ლაზიერი, 17. ჩარი, 18. ალეზი, 19. ამორი. 22. სენა, 23. ბრიგელი, 25. ეივე, 28. აბედი, 29. „აძურა", 30. ლეინი, 32. ასანიძე, 33. გაბელია. **შვეულად:** 1. „ომონია", 2. „ელჩე", 3. ლიგა, 4. „დინამო", 5. „ფორტუნა", 7. იანკერი, 9. ეისი, 12. კაიზერი, 13. ბრუმელი, 15. აიალა, 17. ჩუისე, 20. ქეცბაია, 21. „გვარდია", 24. გოლი, 26. კიმონო, 27. რამსეი, 31. „ირაო".

## საჭადრაკო ამოცანა

ი. იშტა



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლg1! 1. ...მფf4 2. ლc5X. 1. ...მფf4 2. მd3X. 1. ...მფd6 2. ლd4X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.